სამეგრელოს ამბები

№15 (748)
ოთხშაბათი
24 აპრილი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

სამშობლო – დავიწყებული დიადი სიტყვა

რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთვის საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა ტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა?

რა არის და სამშობლო.

სამშობლო – გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა.

– რომელი დგას უფრო მაღლა – სამშობლო თუ ჭეშმარიტება? – იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა – ჭეშმარიტებაო.

მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლოა თავად ჭეშმარიტება და ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა.

„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

უსამშობლო ადამიანი ადამიანის მაგვარი ბიოლოგიური არსებაა, ვიღაცის მიერ შეკოწიწებული რობოტია, რომელსაც ღმერთის დამღა არ აკრავს.

მთელი ქართული მწერლობა დაწყებული დასაბამიდან დღემდე ერთ საერთო მიზანს ემსახურება – აღზარდოს ქართველ ადამიანში სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, განუსაზღვროს, განუმარტოს და შეასწავლოს მთავარი მიზანი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა – სამშობლოს მსახურება.

ავად თუ კარგად, თითქოს, სახელმწიფოს კი ვაშენებთ, თავისი სტრუქტურებით, ჯარით, პოლიციით, სხვადასხვა სტრუქტურებით, მაგრამ ამ სახელმწიფოში სულ უფრო და უფრო ნაკლებ ჩანს მთავარი, რისთვისაც სახელმწიფო უნდა შენდებოდეს – სამშობლო.

ოკუპანტებიო რომ ვთქვი, მარტო რუსები არ მიგულისხმია, ევროპელებიც ვიგულისხმე და ამერიკელებიც.

რუსები თუ ტერიტორიებს სამხედრო ძალით გვართმევენ, ევროპელები და ამერიკელები ადმინისტრაციული ბერკეტებით, ინსტრუქციებით, დირექტივებით, ეგრეთწოდებული რეფორმებით, ფინანსური და ეკონომიკური ბერკეტებით, არასამთავრობოთა ქსელით, მედიასაშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, ფსიქოლოგიური ზეწოლით გვიპყრობენ ნელ-ნელა, დაგემოვნებით, აუჩქარებლად, ლუკმა-ლუკმა.

ეს ის მტერია, რომლის შესახებაც დიდი ილია საუკუნენახევრის წინათ გვაფრთხილებდა – თოფ-იარაღით მოსული მტრის კი არა, ცოდნით, ხერხით, განათლებით მოსული მტრისა გეშინოდეთ, ის დაგამარცხებთ და დაგმარხავთო.

აკი დაგვმარხეს უკვე და თუ ვყვირით საფლავიდან ვყვირით...

დიდი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რაღაც ფორმით სათანადოდ ვერ ჯდება მათ ინტერესებში, ინტერესები კი მათ უმეტესწილად საერთო აქვთ.

საქართველო თავისი აკვიატებული „ენა, მამული სარწმუნოებით“ ჯერჯერობით ვერ ჯდება გლობალიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში – სამივე ეს ღირებულება, – ენა, მამული, სარწმუნოება, მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელია გლობალისტური პროცესების განვითარებისათვის.

იმ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, არავის არ აძლევს ხელს ამ გზაჯვარედინის ჩამკეტი ძლიერი, თავისუფალი, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო არსებობდეს.

სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ბარი, მდინარე და ტყე, ველი და კორდი, მშობლიური სოფელი, საყვარელი ქუჩა და უბანი.

სამშობლო არის ის კულტურა, ის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, რაც შენმა წინაპრებმა შექმნეს, როცა შენ არ იყავი, არ იყავი მაგრამ აუცილებლად იგულისხმებოდი, რადგან რაც კეთდებოდა ყველაფერი კეთდებოდა შენთვის ანუ მომავლისთვის.

როცა სამშობლო გაქვს და როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, ვინც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალა.

ისინი კვდებიან მაშინ, როცა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტ.

წინ, სამშობლოსათვის! არცერთი ნაბიჯი უკან!

ვახტანგ ხარჩილავა, 2010 წ.

29 აპრილი – მამულისთვის, ენისთვის, სარწმუნოებისთვის!

ირაკლი კობახიძემ უხუცეს საჯარო მოხელეს 100 წლის იუბილე მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ უხუცეს საჯარო მოხელეს, რევაზ კაპანაძეს, რომელიც 76 წელია, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მუშაობს, 100 წლის იუბილე მიულოცა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მთავრობის მეთაური რევაზ კაპანაძეს სამსახურში ესტუმრა, მას ჯანმრთელობა უსურვა და საჯარო სამსახურში მრავალწლიანი მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ კაპანაძე, შვიდ ათეულ წელზე მეტია, პროფესიას სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტის პოზიციიდან ემსახურება.

ათწლეულების განმავლობაში მოღვაწეობდა პედაგოგიურ და სამეცნიერო კვლევით სფეროში. აღზრდილი ჰყავს პროფესიონალთა მრავალი თაობა. მის სახელს უკავშირდება 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელოები. იყო 15-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაციისა და 10-ზე მეტი სადოქტორო დისერტაციის მეცნიერული ხელმძღვანელი.

ირაკლი კობახიძე: ეს არის ყველაზე გრძელი გვირაბი საქართველოში

დღეს ჩვენ ვართ ნამდვილად ისტორიული მომენტის მომსწრე, გაიჭრა ქვეშეთი-კობის გვირაბი, ეს არის 9-კილომეტრიანი გვირაბი, ეს არის ყველაზე გრძელი გვირაბი საქართველოში, რომელსაც აქვს 15 მეტრი დიამეტრი. ეს პროექტი ბევრი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ეს არის ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ეს ხელს შეუწყობს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას, ასევე ხელს შეუწყობს ამ რეგიონში ტურისტული შესაძლებლობების განვითარებას. როგორც დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის, სტეფანწმინდისთვის, ასევე აქ არსებული სოფლების მოსახლეობისთვის, ეს პროექტი მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისით. არის 10 სოფელი, რომელიც უკეთ დაუკავშირდება სხვა რეგიონებს, ქვეყნის დედაქალაქს. სხვადასხვა თვალსაზრისით, ეკონომიკური, სატრანზიტო, სოციალური თვალსაზრისით არის უმნიშვნელოვანესი ეს უნიკალური პროექტი, რომელიც საბოლოოდ დასრულდება მომავალ წელს. ეს იქნება 23-კილომეტრიანი გზის მონაკვეთი, რაც 45 წუთით შეამცირებს დღევანდელი ერთსაათიანი მგზავრობის დროს. ასევე, სამი თვის განმავლობაში უამინდობის გამო, აქ იკეტებოდა გზა, რაც აღარ იქნება საჭირო, გამომდინარე იქიდან, რომ აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება გზის ეს მონაკვეთი. მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელებაში, განსაკუთრებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და პირადად მინისტრ ირაკლი ქარსელაძეს.

ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობის პროექტი აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური მხარდაჭერით და გვირაბის მშენებლობის ნაწილში - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის საერთო ღირებულება 1.2 მილიარდი ლარია.

ქვეშეთი-კობის 23 კმ-იანი გზის მშენებლობა, ეტაპობრივად, 2024-2025 წლებში დასრულდება, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

21 წელიწადია, „ნაცმოს“ კოკა არ გამორეცხილა

მას შემდეგ, რაც ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა ხელში ჩაიგდეს ტელევიზია „რუსთავი-2“, რომელიც ყოველგვარი ჟურნალისტური ეთიკისგან დაწრიტეს და ისე მიანიჭეს აღვირახსნილი ძალაუფლება, ვითომ „ხალხის ტელევიზიის“ ჟურნალისტები მტრად გაუხდნენ ყველა დანარჩენ მედიასაშუალებას, რომელიც მათი მსგავსი და მათი დაკრულის ბანის მიმცემი არ იქნებოდა.

შემდეგ უკვე, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ იგივე ე. წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, რომანტიკულ სახელს ამოფარებული „ვარდების რევოლუციით“, რეალურად კი სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურა დამყარდა, მანამდე თუ ცალკეული პირები ან პირთა ჯგუფი უვარდებოდნენ სამუშაო ადგილზე ცალკეულ მედიასაშაუალებას, შემდეგ უკვე თვით სააკაშვილის ხელისუფლება იქცა მოძალადედ — რამდენიმე მედიასაშუალების დახურვა არ იკმარა, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან ათეულებით ჟურნალ-გაზეთის რედაქცია გამოაძევა და თავდასხმა-დარბევით ტელეკომპანია „იმედიც“ მიითვისა.

იმდენად დიდი სიძულვილი და შიში ჰქონდათ სიმართლისადმი, რომ თავიანთი მსტოვრად ჩამოყალიბებული თავხედი და ყველაფრის მკადრებელი უტიფარი ე. წ. ჟურნალისტების გარდა, ყველას დაშინება-დადუმებაზე იყვნენ გაფაციცებულები და არც ფოტორეპორიორების დაპატიმრებას მოერიდნენ.

ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მათი კოკა არ გამორეხცხილა, რა ბოღმა და ბალღამიც ესხათ, იგივე გადმოუდით ახლაც — ძველებურად ეშინიათ სიმართლის და ძველებურად სძულთ მართლის მთქმელი ყველა მედიასაშუალება და ყველა გაუსვრელი ჟურნალისტი.

ამასობაში, გაჭაღარავდნენ და დაბერდნენ კიდეც, მხოლოდ ხავილის ძალა შერჩათ, მაგრამ გამოიწვრთნენ წლების განმავლობაში და ახლა ახალ თაობებს წვრთნიან საავკაცოდ. საზარელი მოსასმენი იყო იგივე შეძახილი იმავე ტონალობაში, რაც ერთხელ უკვე მოვისმინეთ რუსთაველის პროსპექტზე, მხოლოდ ერთი სიტყვა იყო შეცვლილი: „იმედს“ რა�ა?..

ამ დღეების განმავლობაში „იმედის“, „პოსტ-ტვ“-ის, „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების მიმართ, განურჩევლად სქესისა, უხამსი გამონათქვამების ისეთი ნიაღვარი მიედინებოდა, მათგან ყველაზე მსუბუქი დატვირთვის შეძახილი „მონებო!“ იყო.

„საერთო გაზეთი“ გმობს ყველანაირ ფიზიკურ ძალადობასა და სიტყვიერ შეურაცხყოფას; განსაკუთრებით, ჩვენი კოლეგების მიმართ, ამასთანავე, გმობს იმ ე. წ. პოლიტიკოსების საქციელს, რომელთა მითითებითაც ასე იქცევა მათი დაქირავებული მომიტინგეთა კონტინგენტი.

განსაკუთრებით ვგმობთ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დუმილს, როდესაც ძალადობაზე უპირველესად ის უნდა იმაღლებდეს ხმას, მით უფრო, ჟურნალისტებზე ძალადობის დროს და ჟურნალისტებს გარანტად უნდა ედგეს, ის მყარად დუმს!

„საერთო გაზეთი“ ყოველთვის იმ ჟურნალისტების გვერდით იდგება, რომლებიც მხოლოდ სიმართლეს ემსახურებიან და არაფერს სიმართლის გარდა!

„სგ“

უსამშობლო ბოროტი ტაკიმასხარები

„ჩვენ, დიდ პოლიტიკოსებს, ეს ხალხი უნდა შეგვეწიროს“. (მიხეილ სააკაშვილი)

პირველივე ფოტო, რომელიც გაახლეთ, მეორე მსოფლიო ომის დროს არის გადაღებული. ჯარისკაცს ზურგზე ვირი ჰყავს აკიდებული, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი საყვარელი ვირია და დავრდომილს გადაადგილება არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ ველი, სადაც მეომრები გადაადგილდებოდნენ, დანაღმული იყო და თავის ნებაზე მოსიარულე ვირს აფეთქებების ჯაჭვური რეაქციის გამოწვევა შეეძლო, რაც ყველას დაღუპავდა.

მორალი: ყველა „ვირი“, ვისაც ქვეყნისთვის მომდინარე საფრთხეების დანახვა არ უნდა ან ვერ ხედავს, კონტროლზე უნდა გყავდეს, რომ მისთვის ერთი რიგითი ქვეყანა, სადაც მხოლოდ ძოვს, შენთვის კი — სამშობლო, ჯაჭვური რეაქციით არ აგიფეთქოს...

●

„17 აპრილს პარლამენტის სხდომის პირდაპირ ვიდეოტრანსლაციას ვუყურებ“, — ასე მინდოდა დამეწყო სათქმელის გადმოცემა, მაგრამ არც ხელი დამემორჩილა ამ სიტყვების დასაწერად და არც ყური, თავი პირველყოფილი ადამიანების ყველაზე ჩამორჩენილ ტომში მეგონა, ჯერ მეტყველებამდე რომ ვერ განვითარებულან...

დასრულდა კაკაფონია და თავი სკასავით მიბზუის...

ეს რა იყო! ამდენი უზნეო ქალი და კაცი რანაირად დაუკავშირდა ერთმანეთს, მართლა საერთო მამის გახვანცალების დეფექტიანი შედეგია ყველა მათგანი?

რა სამარცხვინოები არიან!

მორიდებულად რომ გეტყვის ვინმე, თუ შეიძლება, მარტო დაგვტოვეთო, მაშინ გრძნობ ერთგვარ უხერხულობას და ამხელა ქალებს და კაცებს წვინტლივით რომ მოისვრიან პარლამენტიდან და ჯიკავჯიკავით გააბუნძულებენ, რა შუბლი აქვთ ასეთი, რომ სირცხვილის მცირეოდენი ალმურიც არ მოედოთ... თუმცა, ამათ ხომ არაფრის რცხვენიათ...

როგორი შუბლისძარღვგაწყვეტილები არიან!

იჭყივლეს, იკივლეს, იღმუვლეს, აბრახუნეს — ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ პარლამენტიდან გამოეძევებინათ ეს ფუტურო ძღვენიჭამიები, რათა შემდეგ ეთქვათ, გამოგვაგდეს იმიტომ, რომ მშვიდად დააჭირონ ხელი მწვანე ღილაკებსო. ეს უსამშობლო ინფუზორიები!..

ერთ დღეს, გუბეში მჯდომმა პატარა ბაყაყმა ბებო-ბაყაყს ჰკითხა: ბებო, ამ ჭანჭახში რატომ ვართ, იმ აყვავილებულ მთაზე რატომ არ გადავდივართ საცხოვრებლად, როგორი ლამაზია იქაურობაო. ბებო მოეფერა, ჩვენი სამშობლო აქ არის, შვილოოო... ამათ კი, რა იციან რა არის სამშობლო...

ერთ დღეს მე და ჩემი ძმაკაცი ერვანდა ვილხენდით. საუბარმა მოიტანა და სიტყვა „ტაკიმასხარა“ ვახსენე. ერვანდამ პირველად გაიგონა ეს სიტყვა, მოეწონა და დაიხსომა. გამოხდა ხანი და ვიღაცაზე მეუბნება, „ზურაჯან, ის რა პრო***იმასხარა ვინმეაო“. როგორც ჩანს, ჩემი წარმოთქმული „ტაკი-მასხარა“ სხვაგვარად ჩაესმა ყურში და როდესაც კონტექსტისთვის დასჭირდა, თავისებურად გაამძაფრა.

ვუყურებდი პარლამენტში ატეხილ გნიასს და გულში შევაქე, ყოჩაღ, ერვანდ, რა კარგი სიტყვა შექმენი, ესენი ხომ ზუსტად პრო**-**იმასხარები არიან, ოღონდ უსამშობლო ბოროტი პრო***იმასხარები-მეთქი....

კაცმა რომ თქვას, რუსთაველის გამზირზე მოქანავე „შპანას“ ამბავი უფრო მაინტერესებს, ვიდრე ამ გაშიფრული უსამშობლოებისა, — ერთი ახალგაზრდა კი არა, ასაკოვანი ვერ ვნახე, რომ კითხაზე: რატომ არის კანონი, რომლის მიღებასაც პარლამენტი აპირებს „რუსული“, პასუხი გაეცა. რას აპროტესტებენ, კრებსითმა ლომჯარიებმა ხარჯთაღრიცხვა არ აწარმოონო? სასაცილოა თუ საკვირველი, ვეღარ გამიგია...

აქამდე კი იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ ახლა სხვანაირად ყოფილა — ასე გვეუბნება აბელა სეთური უწინ, მოზარდი, თუ ნორმალურ ოჯახში იზრდებოდა, სახლში რომ ფულის შეკვრა მიეტანა, პატრონი გამოჰკითხავდა, საიდან გაქვს, ვინ მოგცა და რატომო. ვინმე „ძველმოდურმა რუსეთუმე“ დედ-მამამ ახლა ეს რომ გაუბედოს შვილს, თუ შვილი “ჯენზი თაობის შიგ ევროპელი თინეიჯერია“, გენდერულ პოლიციას დააყენებს თავზე, მშობლები ჩემს უფლებებს ლახავენო და გენდერულ სასამართლოში არბენინებს...

ვიდეოკადრები ტრიალებს სოცქსელებში, როგორ ზეევროპულად აპროტესტებს ვიღაცების ხარჯთაღრიცხვის წარდგენის აუცილებლობას ღრმა უმეცრებაში ჩარჩენილი კაი დაბოლილ-დაქნეული ჩვენი „ევროპული შთამომავლობა“. თითქოს ყველაფერს ჩავწვდი, მაგრამ ხუთი რამ მაინც ამოუხსნელი დამრჩა. პირველს ვერ დავწერ,— ტრანსპარანტზე უხამსი შინაარსის წარწერებს ვგულისხმობ; მეორე — საიდან უნდა გადადგეს ნაძირალა სააკაშვილი; მესამე — რატომ ემუქრება ქალი პოლიციელ ქმარს რიმა ბერიძით; მეოთხე — რა კავშირშია მამაკაცის სათესლე ჯირკვლის სიმსივნე გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებულ აქციაზე მისვლასთან; მეხუთე — რად უნდოდა სამკვდრო-სასიცოცხლო აქციაზე ჯენზი-ახალგაზრდას ვიბრატორი და თუ მაინცდამაინც მის გარეშე თავს მარტოსულად გრძნობდა, როგორ ვერ იგრძნო, რომ გადმოუვარდა თუ გამოუვარდა? ეგდო მარტოსულად საბრალო ვიბრატორი...

„გუშინდელი აქციის ორგანიზატორებმა ტრ***ი რომ აწიონ და 1 პოსტი დადონ, ვინ არიან და რას აპირებენ, მაგრა გაასწორებდა, რავი, დაბნეული ხალხი ჩვენთან მორბის ტალღაზე. რიტორიკული პოსტია, არ დაწერენ არაფერს, ვიცი,“ — ფილოსოფოსობდა „2012 წლამდე ცნობილი მოღვაწე,“ რითიც ადასტურებდა, რომ თვითონ არაფრის ინიციატორები არ არიან, როგორც წესი, ვიღაც მართავთ.

დღეს რომ რუსთაველის პროსპექტზე არასათავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა საჯაშუშო ფულს გროშ-კაპიკის სანაცვლოდ იცავს უწიგნური და უსახური უსქესო ნაკრები, ფულზე დაგეშვის ნაცვლად, მათ ვინ ეტყვის, რომ იმავე ადგილზე, 80-იან წლებში განათლებული „ქუდზე კაცი“ საქართველოს სუვერენიტეტის მოთხოვნით იდგა და თავი ჰქონდათ გადადებული სამშობლოსთვის, თვითონ კი სწორედ იმას ითხოვენ, რომ საქართველოს არ ჰქონდეს დამოუკიდებლობა — ეს უსახური მასა თვითონ რანაირად უნდა მიხვდეს, რატომ ჰყავთ მავანთ სხვადასხვა საშუალებებით ლაჯებქვეშ ამოდებული და რად იყენებენ.

ნინო ნადირაძე: „ექსპრეზიდენტთან ერთად ვიჯექი პალატაში, ტელევიზორს ვუყურებდით, როგორ იბომბებოდა კიევი. გამოაცხადეს, რომ დაღუპულია 7 ადამიანი, მათ შორის 2 ბავშვი. ტირილი დავიწყე და მეუბნება: რა გატირებს, ეს არის სტატისტიკა, დიდი პოლიტიკა ამას მოითხოვსო. მე ვუთხარი: შენ რომ ერთი გრადუსით აგიწევს სიცხე, ლამის ციხეში გვსვამ და ის დაღუპული ვიღაცის შვილია, ვიღაცის დედაა, ვიღაცის ძმაა-მეთქი. ჩვენ, დიდ პოლიტიკოსებს, ეს ხალხი უნდა შეგვეწიროს, — ასე მიპასუხა.“

შეთხზული ამბებია თუ რეალურად მოხდა, არ ვიცი, ბავშვობაში გაგონილი ახლა ნინო ნადირაძის სიტყვებმა გონებაში ამომიტივტივა. რა მაქვს გაგონილი ბავშვობაში — თითქოს, ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით, 1. მთელი გერმანიის მასშტაბით შეკრიბეს ჰომოსექსუალები და სექსუალური გადახრებით მათთან გათანაბრებული პირები, ჩასხეს გემში და ისინი აღარავის უნახავს; 2. თავისუფალ გაყიდვაში გაუშვეს მომაკვდინებელ ნივთიერებადამატებული ნარკოტიკული საშუალებები და ყველა ნარკომანმა ტკბილად დაიძინა სამუდამოდ.

ეს რატომ გამახსენდა და, ქართული ნაცსექტის პაიკები რანიც არიან, ვხედავთ, — ნარკომანი, სექსუალურად გადახრილი და უტვინო, უსქესო არსებები. შესაწირ მასალად გამოდგება, ბიოლოგიურად ხომ ადამიანები არიან, სტატისტიკისთვის კი ეს სრულიად საკმარისია, თანაც, სათავისოდ გადადებულ საზოგადოებას ერთგვარად გაწმენდილს დატოვებენ — ნაცსექტაზეა საუბარი და რატომაც არ და ვერ?

6 მლრდ დოლარი რომ გახდა დასაყვედრებელ-წამოსაძახებელი, — სწორედ იმ დეკლარაციის შევსებაზეა საუბარი, რითიც უნდა გავიგოთ, რას მოხმარდა საქართველოს საკეთილდღეოდ და კიდევ რომ არ გაგვიხდეს დასაყვედრებელი, პირიქით, მადლობა ვიხადოთ — რად უნდა ამას რევოლუცია და „რუსეთი, რუსეთის“ ჭყივილი?

პირადად მე ათასჯერ მითქვამს, რომ არცერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს არაფერში არ დაუდგება გვერდში, თუ პირადად მის ინტერესებში არ შედის და ამ გვერდში დგომისგან მნიშვნელოვან სარგებელს არ მიიღებს. აშშ (არა მხოლოდ) რომელი იდეოტი გვგონია ვინმეს, რომ მათი საქართველოში ჩაყრილი ფული იმ ქვეყნის უანგარო სიყვარულად ჩავუთვალოთ, რომლის არსებობაც 30 წლის წინათ გაიგო?

აშშ-ისთვის სულ ერთია, რაღა ჩვენ და რაღა ამაზონის ჯუნგლების რომელიღაც მრავალრიცხოვანი ტომი, უბრალოდ, ცოტა განვითარებულებად ჩაგვთვალეს და ამიტომაც ჩაგვწერეს განვითარებად ქვეყნად... განვითარების ასპექტში რატომ ჩამოგვაქვეითეს? განათლების სისტემა უნდა დაენგრიათ და წინსწრებით მიგვანიჭეს „განსავითარებლობა“ — გადახედეთ „განათლების რეფორმის“ შემდეგ წამოსულ თაობებს, სამწუხარო შედეგი სახეზეა...

მოკლედ, გაიშიფრება, რას ხმარდებოდა ეს საიდუმლოებით მოცული — „ჰა, შენ ფული და გაიხადე, კიკუ“ — და, გარდა იმისა, რომ გავიგებთ, რას მოხმარდა უცხო ქვეყნების ფულები, იმასაც გავიგებთ, რა მოგება ნახა ფულის გამცემმა.

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი ჩინოსანი ლარი ჯონსიც რუსეთუმე და პუტინის მონაა?

ლარი ჯონსი: „მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთი მუშაობს საქართველოში ფერადი რევოლუციის მოსაწყობად. რასაც ტელევიზორის ეკრანებიდან თვალს ვადევნებთ, ეს არ არის ორგანული, შინაური, თავისთავად შექმნილი პროტესტი.

პროტესტით ახალი კანონის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-სა და სხვა ქვეყნებში არსებობს, ილუსტრირებულია არა მხოლოდ დასავლეთის ორმაგი სტანდარტი, დასავლეთის თვალთმაქცობა, არამედ ისიც, რომ დასავლეთი ვერ აშორებს ხელებს სხვა ქვეყნებს.“ იგივე ხაზს ავითარებენ მართლა მეგობრები ან პირუთვნელი ადამიანები ე. წ. დასავლეთის ქვეყნებიდან...

ვიცით, ყველაფერი ვიცით

5 ბ3.

ახლა ჩვენი თავი ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნის



„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:

— ბატონო ზაზა, მსოფლიო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა. ამ ფონზე საქართველოში მიმდინარე პროცესები ქვეყნის მომავალზე როგორ აისახება?

— დიახ, ჩვენ მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიმყოფებით. ცხადია, ისრაელისა და ირანის კონფლიქტი მარტივად არ დასრულდება. ახლა ისეთი ჟამი დადგა, რომ რეზო გაბრიაძის უკვდავი ფრაზა მახსენდება, თვალი დაუდგეს ევროპას, მეც ქართველი ვარ ბოლოს და ბოლოსო.

რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პროცესებს, დასავლეთის, აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან ჩვენს ქვეყანაზე სერიოზული ზეწოლა ხორციელდება. საქართველოს ხელისუფლებას, ქართველ ხალხს დასავლეთის ზეწოლასთან დაპირისპირება უწევს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია საზოგადოების ერთიანობა. ხალხს „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის შინაარსი, არსი მშვენივრად ესმის. პირველი ეტაპი გადალახულია — პარლამენტმა პირველი მოსმენით კანონპროექტი მიიღო. მიუხედავად ამისა, არჩევნებამდე წინ დაშანტაჟების არაერთი ეტაპი გველის. თუმცა, ხელისუფლებისა და ხალხის კონსოლიდაციის, ერთიანობის იმედი მაქვს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუნდაც 2003 წლისგან განსხვავებით, დღეს მეხუთე კოლონას ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავს. არც გვარამიას, არც მელიას, ხაზარაძეს, ჯაფარიძეს, გახარიას თუ სხვას, ეს ქარიზმა არ აქვთ. აქ რეიტინგზეც როდია საუბარი. ისინი ბოლომდე გაიშიფრნენ, გაჭრილი კარტები არიან.

გადავხედოთ, როგორ ხდება ფერადი რევოლუციები. ჩვენთან ეს ერთხელ წარმატებით მოახერხეს. მერე რამდენიმე წარუმატებელი მცდელობა იყო გავრილოვის ღამიდან დაწყებული, შარშანდელი 7-8 მარტის აქციებით დამთავრებული. მნიშვნელოვანია, რომ რევოლუციის მოსაწყობად მხოლოდ მეხუთე კოლონა საკმარისი ვერ იქნება, საზოგადოებაში ნეგატიური ენერგიის მუხტი უნდა იყოს დაგროვილი, რაც არ არის. არ ჰყავთ ქარიზმატული ლიდერი. ეს „სკოლა“ უკვე გავიარეთ, ხალხმა გამოცდილება მიიღო. ანუ, რისი თქმა მინდა: დასავლური გლობალისტური ფრთის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, იმედს მაძლევს ის, რომ გადმორიცხული ფულისა და მეხუთე კოლონის გარდა, რევოლუციის მოწყობის რეალური რესურსი არ არსებობს. მეორე მხარეს დგას საზოგადოება, რომელმაც სერიოზული განსაცდელი გამოიარა, მას ყოფნა-არყოფნის საკითხი არაერთხელ ედგა. ერთ-ერთი სერიოზული გამოცდილება 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ხალხს მეორეჯერ იმავე მდინარეში შესვლა, ანუ, მეორე ფრონტის გახსნა აღარ უნდა.

ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს გადატრიალება. მით უმეტეს, რომ ახლა შუაგულ ევროპაში რეალური ომი მიმდინარეობს. სრულიად ცხადია, არც არავინ მალავს

და ღიად გვეუბნებიან, დემოკრატიისთვის სისხლი უნდა გაიღოთო. აქედან გამომდინარე, გამოწვევა სერიოზულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ, როგორც ქვეყანა, ისტორიის სუბიექტი ვართ, იმ აზრით, რომ ჩვენ საკუთარ თავს თავად განვაგებთ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ახლა ჩვენი თავი ნამდვილად ჩვენ გვეკუთვნის.

— ანუ, პროცესები, რაც ახლა ხდება, იმით არის გამოწვეული, რომ მეტი სუვერენიტეტის მიღება გადავწყვიტეთ?

— 2022 წლამდე კოაბიტაციაზე, თანამონაწილეობაზე იყო ლაპარაკი. 2022 წლიდან მოყოლებული, დასავლეთის განსაკუთრებული ამოცანა ამა თუ იმ ხერხით საქართველოს დაშანტაჟება იყო. ჯერ კანდიდატის სტატუსის არმოცემით გვაშანტაჟებდნენ. ეს პირდაპირ ჟღერდებოდა არამხოლოდ უკრაინის პოლიტიკური ისტებლიშმენტის, არამედ ევროპის ბიუროკრატიის ზედა ეშელონების მხრიდანაც. ჩვენ, ფაქტობრივად, პირდაპირ მსხვერპლის გაღებას, სისხლის დაღვრას გვთხოვდნენ. ანუ, ამოსავალი წერტილი კონფლიქტში საქართველოს ჩართვა გახდა. აქედან გამომდინარე, „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ტესტივით არის, რითაც ვხედავთ, ვის უნდა ქვეყნის სუვერენიტეტი და ვის — არა. **რად გვინდა სუვერენიტეტი? — ეს თავისთავად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ბედი თავად უნდა განვკარგოთ.** სახელმწიფომ საბედისწერო ნაბიჯი უნდა გადადგას, მაგრამ ერთია, როდესაც ამას საკუთარი ნებით აკეთებ, მეორეა, როცა თავად არ ხარ სუბიექტი და, ფაქტობრივად, სხვის ხელში მარიონეტი ხარ. ამ სიტუაციაში კარგად ჩანს, რატომ არის მნიშვნელოვანი სუვერენიტეტი — იმიტომ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთვნოდეს, რათა არ გადავდგათ ბრმა ნაბიჯი, როგორც ეს 2008 წელს მოხდა.

1999 წელს სერბეთის დაბომბვით სუვერენულ ქვეყანას პირველად გაუსწორდნენ. ეს არა იმდენად ომი, რამდენადაც პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო. გავიდა 25 წელი და ჩვენ უკვე ყველაფერი ვიცით. ნიშანდობლივია რომ: მაშინ ამერიკელების მიერ სერბეთის დაბომბვას სპეციალური სამხედრო ოპერაცია ერქვა. ახლა რა ჰქვია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს? — სპეციალური სამხედრო ოპერაცია...

— დასაწყისში ახსენეთ, „გავრილოვის ღამეს“ რევოლუციის მოწყობა აღარ გამოუვიდათო. დღეს რა ხდება, ისევ „გავრილოვის ღამეში“ ვცხოვრობთ?

— „გავრილოვის ღამიდან“ ხუთი წელი გავიდა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ბევრი რამ შეცვალა. ვერავინ შეძლო წინასწარმეტყველება, რომ შუაგულ ევროპაში დაიწყებოდა ომი, რომელიც ამდენ ხანს გასტანდა პირველი მსოფლიო ომის სცენარით. ომი ევროპის შუაგულში, უკვე ორ წელიწადზე მეტია, გრძელდება. ფაქტობრივად, ეს არის არა რუსეთისა და დასავლეთის, არამედ გლობალური ჩრდილოეთისა და გლობალური სამხრეთის დაპირისპირება. კარგად ვხედავთ, რომ რუსეთი ამ ომში მარტო არ არის. მას პირდაპირ თუ არა, ეკონომიკურად ეხმარება ჩინეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სხვები. მეორე მხარესაა ე. წ. კონსოლიდირებული დასავლეთი. უამრავი რესურსი იხარჯება. თავიდან თამამად ამბობდნენ, უკრაინა გაიმარჯვებსო. გუშინ კი ამერიკის CIA-ს ხელმძღვანელი კონგრესს არწმუნებდა, თუ უკრაინას სამხედრო შეიარაღებით არ დავეხმარებით, წლის ბოლოს შეიძლება ყველაფერი კატასტროფით დამთავრდესო. ანუ, უკრაინა დამარცხდებაო. ამას ღიად ამბობენ. ამ ყველაფერმა ვითარება ძალიან შეცვალა.

მადლობა ღმერთს, ამ კონფლიქტში როგორც მხარე, თავიდანვე არ ჩავერთეთ — ეს ჩვენი ქვეყნის დასასრული იქნებოდა. ზეწოლას რომ ვუძლებთ, ასევე, ვახერხებთ, კონფლიქტის არცერთ მხარეს არ აღმოვჩნდეთ, ვინარჩუნებთ ნეიტრალიტეტს, ეს ჩვენთვის გადამწყვეტია. აი, ეს არსებითი განსხვავებაა „გავრილოვის ღამესთან“. მაშინ ბოლომდე ნათელი არ იყო, რა პროცესებში ვმონაწილეობდით. ეს ინტუიციურად გვესმოდა. დღეს, უკვე, ყველაფერი ცხადია. რუსეთ-უკრაინის ომმა ყველაფერი დაალაგა. ანუ, გასაგებია, რაც ხდება და აქვე გასაგებია ჩვენი ინტერესიც — ეს არის ქვეყნის გადარჩენა, ისტორიაში არსებობის გაგრძელება.

— აშკარაა, რომ საერთაშორისო პარტნიორები ხალხის სუვერენული ნების წინააღმდეგ მიდიან. შოლცმა პირდაპირ განაცხადა, საქართველოს ეს კანონი არ სჭირდებაო. რეალურად, ყველა ქვეყანა იბრძვის, რომ თავის ქვეყანაში უცხოური გავლენები შეამციროს, რასაც საფუძვლად ისევ და ისევ სუვერენიტეტი ედება.

— რა თქმა უნდა. საფრანგეთი ამ კანონს ახლა იღებს. ეს ორმაგი სტანდარტებია. ანუ, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. საფრანგეთისთვის შეიძლება ამ კანონის მიღება, საქართველოსთვის — არა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არანაირი გარანტია არ გვაქვს — არც ევროკავშირის წევრი ვართ, არც — ნატო-სი. ფაქტობრივად, თავი იმედისთვის უნდა გავწიროთ. გახსოვთ, კობახიძემ რომ თქვა, საქართველოს უკრაინიზაციას არ დავუშვებთო. ამაში რა იგულისხმებოდა? უკრაინიზაცია ნიშნავს, როდესაც შენ სხვის ხელში იარაღი ხდები და საკუთარ პოლიტიკურ ობიექტურობას კარგავ. კი ბატონო, სახელმწიფო ფასეულობაა, ოღონდ, იმ შემთხვევაში, როცა სუვერენული ხარ.

— ბატონო ზაზა, ოპოზიციაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია პრემიერის შეთავაზებამ დიპლომატიური კორპუსის მიმართ — საჯაროდ გაირჩეს გამჭვირვალობის კანონი.

— ოპოზიციამ საკუთარი ქვეყნის პრემიერი იმის გამოც გააკრიტიკა, რომ მან გერმანიის კანცლერ შოლცს ღირსეული პასუხი გასცა. ეს მათ უსამშობლო ბუნებაზე მიანიშნებს და სხვაზე არაფერზე. რატომ უნდა ბედავდეს სხვა ქვეყნის კანცლერი, მიგვითითოს, რომელი კანონი უნდა მივიღოთ და რომელი არა?! ეს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა და სუვერენიტეტის შებღალვაა. უსამშობლოებს საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის განცდა არ გააჩნიათ,



უსამშობლო ბოროტი ტაკიმასხარები

3 გვ.

და ვიცოდით, მაგრამ აქამდე თუ ხან ცალ ფეხზე მდგომი და ხან ოთხზე დამდგარი, მიზეზთა გამო დუმილს ვინარჩუნებდით, ახლა გავსწორდით, ხმა ამოვიღეთ და ე.წ. სტრატეგიულმა პარტნიორმაც არ დაახანა, თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა სხვებთან ერთად — სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები კი არა, სტრატეგიული მტრები და დაუძინებელი მეგობრები რომ ყოფილან.

ის, რა განზრახვაც აქვთ, — ხელისუფლების შეცვლა რევოლუციური სცენარით, მხოლოდ და მხოლოდ შურისძიებაა მხოლოდ და მხოლოდ ბატონი ივანიშვილის მიმართ, რომელიც ვერც ვერაფრით მოთაფლეს და ვერც ვერაფრით გატეხეს, ვერ აცუნდრუკეს საკუთარი მიზნების ასასრულებლად.

„ივანიშვილი ნაცებისთვის ხელისუფლების გადაბარებას აპირებს და ამიტომ შემოიტანეს ეს კანონი განსახილველად, თორემ ახლა, არჩევნების წინ, რა საჭირო იყო“, — კითხვას სვამს დაშტამპული აზროვნების პოლიტიკურად ბეცი მავანი. ეს კატეგორია, ლამის სხვაპლანეტელად ჩავთვალო.

ამ კანონის ხელმეორედ შემოტანაზე შეკითხვა გამიჩნდეს კი არა, ჩემი ნება რომ იყოს, სამშობლოს ღალატის მუხლის აღდგენასაც მოვაბამდი, — წარმოუდგენელია, ამდენი სამშობლოს მოღალატე გყავდეს შინ თუ გარეთ და ზედმეტ ჭაპანს სწევდე!

„არასოდეს გადასდო ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია!“ — ასეა ეს და აქამდეც ამ პრინციპით უნდა გვევლო...

„ქოცებო, სანამ დროა, გაიტანეთ ეგ კანონი, კიდევ გაქვთ დრო და გამოიყენეთ! რამდენიც მისცემთ ხმას ამ კანონს, იმდენი დარეგისტრირდებით სამშობლოს გამყიდველად! არ გაგაყიდინებთ სამშობლოს!“ — საოციალური ქსელით გაავრცელა მიმართვა ნინო ლომჯარიამ და მოგვიანებით „83 მოღალატის სიაც“ გამოაქვეყნეს, აქციაზე კი, ჩემი გულის გასახეთქად, დინჯად დააბიჯებდა უსამშობლო ივერი მელაშვილი.

როცა არსებობებს ტერმინი „სამშობლოს გამყიდველი“ და ვისაც როგორ უნდა, ისე იქნევს, ვის მიმართაც უნდა, შესაბამისი მუხლის არარსებობა სისხლის სამართლის კოდექსში რას ნიშნავს, სამშობლო არც ჩვენ გვქონია, ასე არ არის?

როდესაც სამშობლოს ღალატის მუხლი არ გაქვს, სამშობლო არ გაქვს, შესაბამისად, ვერავინ უღალატებს სამშობლოს და რატომღა ვუწოდებთ რაღაც ქმედების გამო ვიღაცას უსამშობლოს ან სამშობლოს გამყიდველს?

აწ უკვე ნიღაბახეულ ჩვენს დაუძინებელ მეგობრებს ისიც უნდა მივახალოთ უნიღბოდ დარჩენილ სახეში, რომ ზედმიწევნით კარგად ვიცით მათი მუცლისგვრემის მიზეზი და შემოგდებული „რუსი მოდის, რუსი მოდის!“ ფონის გაშლის არსიც.

მართალი ბრძანა ბატონმა დავით მაღრაძემ, მთელი ეს ბაკქანალია ერთი თემაა — სად იქნება ძალა, ვინ აირჩევს საქართველოს მომავალს, ქართველი ხალხი თუ ამერიკის საელჩო, — დამთავრდა! ვინაიდან ამ ე. წ. ოპოზიციას არანაირი შანსი არ აქვს ხელისუფლებაში მობრუნებისა, აშშ-ისა (არა მხოლოდ) და მათი ინტერესები ემთხვევა.

P.S. თუ ხალხის ხმის გაგონება უნდა ვინმეს, ხალხიდან ეს ხმა ისმის:

საფრთხეში რომ გამყოფებს ვინმე, მეგობარი და პარტნიორია ?

მონად რომ გაქციოს, გიკრძალავს კანონების მიღებას, — მეგობარი და პარტნიორია?

უტიფრად რომ მბრძანებლობს და ტვინებს ურეცხავს შენს ახალგაზრდობას შავი ფულებით, — მეგობარი და პარტნიორია ?

შენივე ერის რაღაც ნაწილს რომ მოღალატეებად აქცევს, — მეგობარი და პარტნიორია ?

დღემდე გაუგონარი უტიფრობით რომ თეთრზე შავიაო გეუბნება და გემუქრება, მეგობარი და პარტნიორია?

კარგით, რა, „ოცნება“, არ არის დღევანდელი ე.წ. დასავლეთი პარტნიორი და მეგობარი!

წლის ბოლოს გადაწყდება ყველგან ყველაფერი და მერე გამოიყენეთ ეგ სიტყვა „ჩვენი დასავლელი მეგობრები და პარტნიორები“, თორემ გაღიზიანდა სწორედ ის მილიონი ადამიანი, ვინც მხარი დაგიჭირათ და მართვის მანდატი მოგცათ.

მოხსენით ვორდინგიდან ეს არასწორი სიტყვა, ასე არადამაჯერებლად რომ ისმინება თქვენი გამოსვლებიდან!

ზურა ოშხერელი

რადგან გარედან მართული, დავალებების შემსრულებელი სუბიექტები არიან — ამიტომ ანიჭებენ პრიორიტეტს ყველა სხვას, გარდა ქართველისა და საკუთარი ქვეყნისა. რაც შეეხება კობახიძის მიმართვას დიპლომატიური კორპუსის მიმართ, ეს უსამშობლოებისთვის სრული ფსიქოზისა და ისტერიის საბაბი გახდა.

პრემიერის შეთავაზება ეფუძნებოდა შემდეგს, ელჩები ჯერ კიდევ ახერხებენ და საზოგადოებას ამ კანონის შესახებ მცდარ ინფორმაციას აწვდიან. რადიკალური ოპოზიციის ლოგიკით, კობახიძე ელჩებს ამ ტონალობით არ უნდა ელაპარაკებოდეს. თურმე, ეს დიპლომატიური ეთიკის დარღვევა ყოფილა და არცერთ სხვა ქვეყანაში მსგავსი რამ არ მომხდარა. უსამშობლოებს ისედაც დაბეჩავებული ინსტინქტები ქვეყნის საწინააღმდეგოდ აქვთ მომართული, **ამიტომ შევეცდები, მათ სიმართლე „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვუთხრა: ამ პროცესში თუ ვინმე რამეს არასწორად ბედავს, ეს დიპლომატიური კორპუსია. ელჩები წლებია, საკუთარ უფლებამოსილებას გასცდნენ და ჩვენი ქვეყნის საქმეებში ღიად ერევიან. მეტიც, მათ ხშირად შეთავსებული აქვთ ხელისუფლების ოპონირების ფუნქცია და კანონშემოქმედებით საქმიანობაში უხეშად მონაწილეობენ. ამის ნათელი მაგალითი სწორედ გამჭვირვალობის კანონია.**

ცალკე საკითხია, თუ რატომ არის დიპლომატიური კორპუსი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებიდან გასული. ამ ყველაფერს „საფუძველი“ სწორედ რადიკალების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩაეყარა — 2003 წლიდან ქვეყანა გარედან, აგენტურის ხელით იმართებოდა და ამ პროცესში ელჩებს განსაკუთრებული როლი ჰქონდათ. სწორედ ელჩები იყვნენ ადგილზე დავალებების გამცემები. 2012 წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩინოვნიკები ელემენტარულ გადაწყვეტილებებსაც კი სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან ათანხმებდნენ. აღარაფერს ვიტყვი იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯებზე, რა დროსაც ხელისუფლების მმართველებს დიპლომატიური კორპუსი აზრსაც კი არ ეკითხებოდა! სწორედ ამ უმძიმესი მემკვიდრეობის გამოსწორების გზას გადის ახლა ეროვნული ხელისუფლება. უსამშობლო ოპოზიციას მივმართავ: სწორედ დიპლომატიური ეთიკისა და ნორმების ფეხქვეშ გათელვაა ის, რომ დღეს სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები უხეშად ერევიან ქვეყნის სუვერენულ საკითხებში და მიგვითითებენ, რომელი კანონი მიიღოს და რომელი არა, ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ.

თქვენს ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც გავამახვილებ, როცა უსამშობლო ოპოზიცია ამბობს, რომ ელჩებისადმი დისკუსიაში მონაწილეობის შეთავაზება არცერთ ქვეყანაში არ მომხდარა, ის მთავარ მომენტს შეგნებულად მალავს. საქმე ის არის, რომ ვერავინ დამისახელებს ვერცერთ სუვერენულ სახელმწიფოს, სადაც სხვა ქვეყნის დიპლომატი გაბედავს, ხელისუფლებას მოუწოდოს, ესა თუ ის კანონი უკან გაიწვიოს! ნებისმიერ თავმოყვარე ქვეყანაში ასეთი ფაქტი დიპლომატიური სკანდალის საბაბი გახდებოდა. პრემიერის მხრიდან ელჩების მიმართ გაკეთებული შეთავაზება ერთადერთ მიზანს ემსახურება — მათი მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების პრევენცია მოხდეს. ამ შეთავაზებაზე რადიკალების მძაფრი რეაქცია, მათი თვითლუსტრაციის თვალსაჩინო მაგალითია. რადიკალების ისტერიული ქმედებები ცხადყოფს, თუ საიდან, ვისგან იმართებიან და რომ მათთვის მთავარი ის დაფარული დაფინანსებაა, რომელიც უცხოეთიდან შემოდის და შემდგომ ჩვენს ქვეყანაში ანტიქართული საქმისთვის გამოიყენება.

— ბოლოს, რას გვეტყვით ხელოვანების პროტესტზე, რაც ხან სცენიდან ისმის, ხან ქუჩიდან. რა პროცესთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე?

— ამ უსამშობლო პოლიტიკოსებს საკაშვილს, გვარამიას, ხაზარაძეს, გახარიას, ჯაფარიძეს და მათ მსგავს მარიონეტულ აგენტურას, რომელთაც ეროვნულ ინიციატივას გავეშებული ბრძოლა გამოუცხადეს, აჰყვნენ ე. წ. ხელოვანები და კონკრეტულ მიზანზე გათვლილი ყალბი, გულისამრევი სოლიდარობის ნიშნად ზოგი სცენიდან, ზოგი ტრიბუნიდან, ზოგიც ქუჩიდან გაიძახიან ოკეანის გაღმიდან მოფიქრებულ ფრაზას — „არა რუსულ კანონს“. მათი პოზიცია სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტი, ორსახოვანი ბუნების ლოგიკური თვითლუსტრაცია. კრებსითმა დოიაშვილებმა, ჭოლებმა, სუხიშვილებმა, ქათამაძეებმა მშვენივრად უწყიან ხელისუფლების დემოკრატიული ბუნება და ხასიათი. მათ იციან, რომ თუნდაც სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რადიკალების მიმართ გამოცხადებული სოლიდარობის გამო, არავინ ჩარეცხავს, არც სამსახურებიდან გაყრიან და არც რეპრესიებს მოუწყობენ. სწორედ ამით სარგებლობენ ეს ადამიანები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ, სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, მათ თავისუფალი სცენა, სიტყვა, ფუნჯი, კალამი გარანტირებული აქვთ. ამიტომ ფიქრობენ, რატომ არ უნდა ვიმრუშო, რატომ არ უნდა დავიზღვიო თავი და ველაქუცო ოპოზიციასო?!

მათ მონობის კომპლექსი ვერაფრით დაძლიეს. მუდმივად პატრონის ძიებაში არიან და ამ პროცესმა ისინი ისევ მოძალადე, მჩაგვრელ და აგრესიულ ოპოზიციასთან მიიყვანა, რადგან სრული თავისუფლების მიმნიჭებელი „ქართული ოცნება“ მათ პატრონად ვერ გამოდგება. ამ საქციელს, მარტივად, საკუთარი ქვეყნისა და მომავლის ღალატს ვუწოდებ. მათ ჰქონდათ შანსი საქართველოს სუვერენიტეტის ბრძოლის გზაზე სამშობლოს გვერდით დამდგარიყვნენ, მაგრამ ახლაც ისტორიის არასწორ მხარეს დგომა და ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა არჩიეს.

თამარ შველიძე

დღეს მთავარი ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებაა

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი გურამ მაჭარაშვილი.

- ბატონო გურამ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის დაინიცირების დღიდან დღემდე, ვნებათაღელვა არ ცხრება. როგორ გესახებათ ასეთ ვითარებაში კანონის ამოქმედების პერსპექტივა და, ზოგადად, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

- ახლა მიდის პროცესი სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და მის დაკარგვას შორის და ამას აღარც ჩვენი ოპონენტები უარყოფენ. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა საუბრობენ იმაზე, რომ უხმოდ უნდა შევასრულოთ, რასაც დასავლეთი გვეტყვის, რომელ მოსამართლესაც გვეტყვიან, ის უნდა დავნიშნოთ, როგორი კანონიც მათ მოსწონთ, ისეთი უნდა მივიღოთ და, თურმე, ეს არის ევროპული პერსპექტივა. ამიტომ, ჩვენ ვამბობთ, რომ თუ ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნება გვინდა, გამჭვირვალობა არის უპრეცენდენტოდ მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში.

ჩვენ ვიცით, რატომ არის ასეთი გზავნილები უცხოეთიდან, - იმიტომ, რომ არავის აწყობს თავისი ფულის გამოჩენა, რასაც საქართველოში ხარჯავენ. 30 წლის განმავლობაში, საქართველოს უახლეს ისტორიაში, ასეთი მასშტაბური ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე არ ყოფილა. როგორც ჩვენი ოპონენტები გვეუბნებიან, არ დარჩა არც ერთი ქვეყანა, რომელიც საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ მიღებას არ ეწინააღმდეგება... მე კი მაინტერესებს, ნუთუ მოაზროვნე ადამიანს არ უნდა გაუჩნდეს კითხვა, - რა წერია ასეთი კანონპროექტში, რის გამოც ეს უცხოური ძალები აფორიაქდნენ, ჩვენს ოპოზიციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?!

ვინც ჩაიხედავს კანონპროექტში, ნახავს, რომ კანონის მიზანია მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ფული, რომელიც შემოდის უცხოეთიდან და იხარჯება საქართველოში, იყოს გამჭვირვალე. ამიტომაც არის დასაფიქრებელი - რა აქვთ დასამალი?! ის ხომ არა, რომ ეს ფული იხარჯება რევოლუციურ სცენარებში და მოლოტოვის კოქტეილების შეძენაში, რაც გამიზნულია ადამიანების ცოცხლად დასაწვავად?! თუმცა, არც ამას უარყოფენ. მაგალითად, მოძრაობა „სირცხვილია“ ფინანსდება უცხოეთიდან და მოლოტოვის კოქტეილებს ყიდულობს, აქციას რომ ატარებ სლოგანით „მე ვისროლე“, ეს ხომ ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს ახალისებ და დანაშაულისკენ მოუწოდებ! ვინ აფინანსებს ამ ყველაფერს, - სწორედ ეს აქვთ დასამალი. წარმოიდგინეთ, სადამდე მივედით, ადამიანები გამოდიან ქუჩაში და რას აპროტესტებენ, არ იციან. მოცეკვავე ამბობს, რომ ტანით თუ არ იგრძნო კანონი, ისე არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, მომღერალი ამბობს, რომ თუ ჰანგები არ უმღერე, ისე კანონს ვერ მიიღებ, უცხოელი აცხადებს, რომ ევროკავშირის რომელიმე საკანონმდებლო ორგანოში თუ არ მოიწონეს, ისე არ უნდა მიიღოს კანონი საქართველოს პარლამენტმა!..

ქვეყანაში, სადაც სხვა ქვეყნების დაუკითხავად კანონს ვერ მიიღებს პარლამენტი, სუვერენიტეტზე საუბარი ზედმეტია და ასეც უნდოდათ უცხოურ ძალებს. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ თუ ეს ხელისუფლება არ დათანხმდებოდა მათ პოლიტიკას, უკანონოდ შეცვლიდნენ და ამის მცდელობა უკვე არაერთხელ იყო.

- საზოგადოების ნაწილი კატეგორიულად აცხადებს, რომ არ აინტერესებთ კანონპროეტი, არ უნდათ მისი წაკითხვა და გაგება. პრინციპულად ეწინააღმდეგებიან მხოლოდ გაუგებარი მიზეზებით...

- როდესაც 21-ე საუკუნის თანამედროვე ადამიანი, ახალგაზრდა იქნება ეს თუ ასაკოვანი, ამბობს, რომ არ აინტერესებს, რა წერია კანონში, მას, უბრალოდ, არ წაიკითხავს და არ მიიღებს, რადგან ჩვენს უცხოელ პარტნიორებს არ უნდათ, იქ მთავრდება ქვეყნის სუვერენიტეტი. განა ამისათვის ვიბრძოდით 33 წლის წინ?! ასე ხომ საბჭოთა კავშირშიც ვცხოვრობდით და რა აზრი ჰქონდა ჩვენს თავისუფლებას? ადრე იყო მოსკოვი და ახლა ბრიუსელია? **სუვერენიტეტი მათი განმარტებით ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ვიყოთ რუსეთისგან და დამოკიდებული ვიყოთ დასავლეთსა და ამერიკაზე? ამიტომ ვამბობ, რომ დღეს მიდის ბრძოლა ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და დაპარგვას შორის,** მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლას მოვიგებთ, რადგან საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მენტალურად ქართულად აზროვნებს. ზოგიერთი კი, სამწუხაროდ, აზროვნებს მონური ფსიქოლოგიით - როგორც „ჩვენი ბატონი“ იტყვის, ისე უნდა მოვიქცეთ! როცა მხოლოდ ეს არგუმენტი გაქვს, იქ მთავრდება თავისუფალი აზროვნება!

- საზოგადოების ნაწილს უჩნდება განცდა, რომ ევროპარლამენტარების ნეგატიურმა შეფასებებმა, შესაძლოა, მართლაც შეაფერხოს საქართველოს სვლა ევროკავშირისკენ...

- შეკითხვა არ არის ლეგიტიმური, რადგან ჩვენი მიზანია ეროვნული იდენტობის შენარჩუნება, რაც არის, ასევე, ევროპულ იდენტობასთან თავსებადი. ეს უნდა დაინახოს ევროკავშირმა. გარკვეული ძალები უცხოეთშიც და ჩვენთანაც, ბოლო დღემდე ელოდნენ, რომ არ მოგვცემდნენ კანდიდატის სტატუსს, მაგრამ ევროკავშირი მიხვდა, რომ ეს სტატუსი უნდა მოეცათ. ამ შემთხვევაშიც ასე ხდება, რადგან, თუ შენი თავის ფასი არ იცი, არავინ დაგაფასებს, არც ევროპას სჭირდება სუსტი და უპრინციპო ქვეყანა, რომელიც მზად არის, ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც უკარნახებენ. ხვალ შეიძლება მოგვთხოვონ, რომ ერთსქესიანთა ქორწინება დავაკანონოთ. ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ?! - უნდა ვთქვათ, რომ არ ვარგა, მაგრამ რადგან ამან, შეიძლება, ევროინტეგრაცია შეაფერხოს, მოდი, დავაკანონოთ?! მერე, შეიძლება გვითხრან, რომ სანამ ჩვენს ქვეყანაში კანონს მივიღებთ, განსახილველად ჯერ მათ უნდა გადავუგზავნოთ და ასე შემდეგ...

- ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს. რას უპირისპირებს ხელისუფლება გარეშე ძალების ამ მცდელობას?

-პროცესი მართვადია, სრულიად მობილიზებულია ხელისუფლება და, მათ შორის, შესაბამისი უწყებებიც.

ჩვენ გვახსოვს, რა თქვა ისრაელის ხელისუფლებამ ამერიკასთან დაკავშირებით, როდესაც აშშ-მა გააფრთხილა, რომ არ დაეწყოთ საპასუხო ბრძოლა ირანის წინააღმდეგ. მათ თქვეს, რომ ამერიკა არის ისრაელის ერთადერთი მთავარი პარტნიორი, მაგრამ ისრაელი მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად იმოქმედებს. საფრანგეთის ხელისუფლებამ კი განაცხადა, რომ საფრანგეთი არ არის ერთ-ერთი ვარსკვლავი ამერიკის დროშაზე და ის არ გახდება ვასალი... ეს ხალხი თუ ამბობს, რომ ამერიკასთან ურთიერთობა უნდა, მაგრამ ვასალი არ იქნება, ჩვენ თავმოყვარეობა არა გვაქვს? ჩვენ არ უნდა გამოვიდეთ ეროვნული ინტერესებიდან? წინ ხომ უამრავი მაგალითი გვიდევს! „კვდებოდა“ სააკაშვილი 2 წლის წინ, დასავლეთის მტკიცებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტყუილი ყოფილა და ვინმემ ამის გამო ბოდიში მოიხადა? ანუ ხანდახან რეალობა უნდა დაინახო და არ უნდა დაუჯერო მხოლოდ იმას, რასაც თუნდაც შენი პარტნიორი გეუბნება. თქვენ გგონიათ, ევროკავშირში ერთსულოვნებაა? პოლონეთის პრემიერმა არ თქვა, ბიუროკრატიაა ევროკავშირშიო? ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ სახელმწიფოები თავისით იღებენ გადაწყვეტილებას. ვინც მოაზროვნეა, ხომ კითხულობს და იცის, რომ საფრანგეთის ანალოგიური კანონიც არავის მოსწონს, თავად საფრანგეთის გარდა. უამრავმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მისწერა ამერიკის კონგრესს, რომ ის კანონი არ ვარგა, რაც „ფარას“ სახით მოქმედებს, მაგრამ კანონი მაინც კანონობს, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის გარდა სხვა არცერთ ქვეყანას არ აწყობს. შენ იმაზე კი არ უნდა იყო დამოკიდებული, სხვა ქვეყანას რა აძლევს ხელს, შენი ეროვნული ინტერესი რა არის, ამ პრინციპზე უნდა დადგე და ამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილებზე დალაგდება.

- პრეზიდენტმა უკვე დააანონსა, რომ კანონპროექტს ვეტოს დაადებს. როგორ აპირებთ მის დაძლევას?

- ზურაბიშვილი არის ჩვეულებრივი აგენტი. ჩვენ ვეტოს დაძლევა მოგვიწევს, მაგრამ მან მხოლოდ ამ კანონპროექტს კი არა, მთელ თავის პოლიტიკურ ცხოვრებას დაადო ვეტო. ჯერ კიდევ ვერ ხვდება ზურაბიშვილი, სადამდე მივიდა. როცა დაასრულებს თავის საპრეზიდენტო ვადას, მერე უფრო მიხვდება. ნახავს, რას დაწერს ისტორია ქვეყნის პრეზიდენტზე, რომელიც პირდაპირ იბრძოდა საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ. რომელიც ამბობდა, რომ კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს საქართველო. სხვათა შორის, დღემდე „ლელო“ იგივეს ამბობს სამადაშვილის სახით, რომ შეცდომა დაუშვა ევროპამ, როდესაც კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭა. ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე და ზურაბიშვილიც მათ სიაშია. პროპორციულად რომ ავიღოთ, რა ძალაუფლებაც მას აქვს, სალომე ზურაბიშვილმა, ალბათ, ყველა პრეზიდენტს გადაასწრო, საკუთარი ქვეყნის წინაშე მავნებლობით. მაგას რომ მეტი ძალაუფლება ჰქონოდა, ადვილი წარმოსადგენია, რასაც ჩაიდენდა. ქართული პოლიტიკის უახლეს ისტორიაში ძალიან არასახარბიელოდ ჩაიწერება სალომე ზურაბიშვილის როლი.

- აქციების პერიოდში ნიკა გვარამიას როლი გამოიკვეთა, რომელიც ცდილობს, რომ ოპოზიციის სათავეში მოექცეს. რა შანსები აქვთ მოახლოებულ არჩევნებზე ამ ადამიანებს?

- ოპოზიციას რეიტინგი არ ჰქონია და არც აქვს. უცხოელ ძალებს ჰქონდათ მათი გაერთიანების მცდელობა, თუმცა ეს მარტივი არ არის, ოპოზიციის ლიდერების ფსიქოტიპიდან გამომდინარე. გვარამია, მელია, ხაზარაძე თუ გახარია, ყველა ისეთი ფსიქოტიპია, რომ თვითონ უნდა, იყოს ლიდერი. მელია მეორე დღესვე ჩააჩოჩა გვარამიამ, როგორც კი შეერთდნენ და „დაქორწინდნენ“, უცებ მოსვა მეორე ადგილზე. ეს ის ხალხია, რომელიც სახეს ვერ მალავს. სადღაც ერთი თვე ცდლობდა ნიკა გვარამია თავის შეკავებას: დაივარცხნა, ჰალტუხი გაიკეთა, ცოტა ადამიანურიც გახდა... მაგრამ მალე ისევ მოიხსნა ჰალსტუხი, თმა გაიწეწა, გინებაც დაიწყო და გახდა ისეთივე ძველი „თამრო“, როგორიც იყო. „ახალი“ ვერაფერი ნახა ხალხმა, გარდა მათი „ქორწინებისა.“ მელიას შემთხვევაში უნდა ვთქვათ, რომ „განქორწინდა“ სააკაშვილთან და „დაქორწინდა“ გვარამიასთან, მაგრამ ესეც უიღბლო „ქორწინება“ აღმოჩნდა. აქეთ სააკაშვილი გამოვარდა მოწოდებით, ბორდი შექმენით, მე დამნიშნეთ უფროსად, სოფო კი - ჩემს მოადგილედო და ასე ორი სიტყვით „ჩააჩოჩა“ ყველა თანაგუნდელი... უცხოური ძალები მაინც შეეცდებიან, რომ როგორმე რამდენიმე პარტია შეკრან და ისე გაიყვანონ არჩევნებზე, თუმცა, დღევანდელი მონაცემებით, 5 ნომრის გარდა, არავის აქვს პერსპექტივა 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს.

ნონა ქარქაშაძე

ენჯეოები პოლიტიკაში ოპოზიციურ პარტიებზე მეტად არიან ჩართულნი

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. როგორ ფიქრობთ, რა ტიპის უცხოური გავლენები არსებობს საქართველოში, რა იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთ მძაფრ წინააღმდეგობას?

— დავიწყოთ იმით, რომ, თუ ადამიანი პატიოსნად, კანონიერად მუშაობს, მისთვის გამჭვირვალობა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. რატომ უნდა გეშინოდეს ფინანსების გამჭვირვალობის? — ესე იგი საქმე არაკეთილსინდისიერებასთან გვაქვს! ბუნებრივია, საზოგადოებას აინტერესებს, რამდენად მართებულად იხარჯება მისთვის გამოყოფილი თანხები. ეს კანონი აქამდეც უნდა მიგველო. აშშ-ში აღნიშნული კანონი 1938 წელს მიიღეს და დღემდე მუშაობს. საყურადღებოა, რომ გამჭვირვალობაზე წუხან არამხოლოდ ენჯეოები, არამედ დონორი ორგანზაციებიც. მეტიც, შოლცი და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ღიად გვიცხადებენ, საქართველომ ეს კანონი არ უნდა მიიღოსო, რაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. მაგალითად, რატომ არიან უცხო ქვეყნების წარმომადგენლები, ჩვენს ქვეყანაში შემოსული თანხების გაუმჭირვალობით ასე დაინტერესებულნი.

რა ხდება? რატომ აძლევს დასავლეთი თავს უფლებას, ასე თავხედურად შებღალოს ჩვენი სუვერენიტეტი, თავისუფლება. ჩემს ვარაუდს გეტყვით, რა შეიძლება იყოს მთავარი მიზეზი: სააკაშვილის პერიოდიდან გვეუბნებიან, რომ თურმე ჩვენ და უკრაინას ერთი ბედი გვაქვს. ისტორიის რომელ ეტაპზე ყოფილა ჩვენი ბედი გადაჯაჭვული, ან დღეს რატომ უნდა იყოს?!

— რა კავშირშია უკრაინის თემასთან კანონი გამჭვირვალობის შესახებ?

— დავსვათ შეკითხვა: რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება? ფაქტია, ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, წესით, ნეიტრალურ პოზიციას უნდა იკავებდნენ და პოლიტიკაში არ ერეოდნენ, „რეგისტრაციის შესახებ“ კანონსაც კი არღვევენ. ამ კანონის მიხედვით, ენჯეო აპოლიტიკური, არაკომერციული ორგანიზაციაა. ეს ენჯეოები კი პოლიტიკაში იმაზე მეტად არიან ჩართულნი, ვიდრე ოპოზიციური პარტიები. მაგალითად, 2020 წელს არასამთავრობოები აქციებზე იდგნენ და ტექნიკური მთავრობის შექმნას, პრემიერის გადადგომას მოითხოვდნენ. ომბუდსმენი ლომჯარია პოლიტიკურ განცხადებებს ღიად აკეთებდა, მირჩევნია, თავზე ბომბები მაცვიოდეს, ვიდრე იმ სირცხვილში ვიყო, რაშიც ხელისუფლება გვამყოფებსო. რა კავშირშია ეს განცხადებები ადამიანის სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებთან, იმ დეკლარირებულ პრინციპებთან, რასაც, წესით, ქვეყანაში ენჯეოები უნდა ამკვიდრებდნენ?! თუმცა ვხედავთ, რომ პოლიტიკაში, თანაც გარედან მართულში, თავით არიან გადაშვებულნი და ქვეყნის საზიანოდ მოქმედებენ.

ყველას გვახსოვს, როგორ გააყალბა „ისფედმა“ არჩევნები და გამოაშკარავების მერეც კი, საკუთარი ვებგვერდიდან გაყალბებული მონაცემები არ აიღო. უცხო ფონდები, საელჩოები ხომ ხედავენ, როგორი პოლიტიზებულია მათ მიერ დაფინანსებული ენჯეოები! თუ ისინი ამ ენჯეოების მსგავს პოლიტიკას არ ეთანხმებიან, მაშინ ვალდებულნი არიან, დაფინანსება შეუწყვიტონ და თანხები უკან გაითხოვონ. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დამფინანსებლებიც და ჩვენი ენჯეოებიც ტანდემში შეხმატკბილებულად მოქმედებენ. ანუ, ორივე დანაშაულის მონაწილეა — ერთი პოლიტიკაში ერევა, მეორე კი აქ პოლიტიკურ პროცესებს აფინანსებს, რაც მთელ მსოფლიოში აკრძალულია.

გარე ძალების მიზანი ნათელია, ეს გახლავთ ქართული სახელმწიფოს ჩამოშლა. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ამ ფინანსებით არჩევნებს გაყალბებულად გვიცხადებენ, რევოლუციისთვის ნიადაგს ამზადებენ, თავიანთ აგენტურას აყვირებენ, გადადგეს ხელისუფლებაო, გაჰკივიან, უკრაინელები ჩვენი ძმები არიანო. უკრაინის დროშა ზოგმა შუბლზე გაიკრა და ზოგმაც — სად, ქართული დროშა უკრაინის დროშის ფერებში გადაღებეს. რა ხდება? 90-იან წლებში და 2008 წელს ომი ჩვენთანაც იყო, მაგრამ არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ ეს ხალხი ასე არ გაგიჟებულა. პამპერსების და წყლის გარდა, აშშ-იდან არანაირი დახმარება არ მიგვიღია. სარკოზის შუამავლობამ გამოკვეთა, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი გარედან წყდებოდა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეს ენჯეოები ფინანსდებიან იმისთვის, რომ ხელისუფლება ჩამოაგდონ და ქვეყანაში მეორე ფრონტი გააჩაღონ. აშშ რომ გვამადლის, საქართველოს განვითარებისთვის ექვსი მილიარდი დოლარი დავახარჯეთო, აქედან თანხის დიდი ნაწილი საკუთარი აგენტურის შექმნისთვის გაიღეს, რომელიც გამუდმებით ხელისუფლების ლანძღვითაა დაკავებული. კი ბატონო, დაგიჯერებდით რომ ეს ხელისუფლება არ ვარგა, ანალოგიური რეაგირება სააკაშვილის რეჟიმის დროს რომ დამენახა, რა დროსაც ხალხს ხოცავდნენ, აკულაკებდნენ, აუპატიურებდნენ, ბიზნესებს არეკეტებდნენ და ა. შ. მაშინ სად იყავით, რატომ არ გქონდათ ამ ყველაფერზე ადეკვატური რეაქცია?! როცა საერთაშორისო თანამეგობრობიდან მართლა გვჭირდებოდა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დახმარება და ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლა, მაშინ სად იყვნენ?! რასაც სააკაშვილი, ნაცები ამკვიდრებდნენ, ეს პროვინციული ფაშიზმი იყო. მართალია, ეს მიკროფაშიზმი მთელ ევროპას, მსოფლიოს არ შეხებია, მაგრამ ქართველ ერს შეეხო. ფაშისტური მმართველობის დროს ყველა — ენჯეოებიც და მათი დამფინანსებლებიც დუმდნენ. დიახ, დუმდნენ განა იმიტომ, რომ არ იცოდნენ, საქართველოში რა ხდებოდა, არამედ იმიტომ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მათი ინტერესების გამტარებელი იყო. ამიტომ ისინი ხალხის ინტერესების საზიანოდ და ხელისუფლების სასარგებლოდ, თვალს ხუჭავდნენ!

როცა ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის დიდი ძალისხმევით ფაშისტური მმართველობა შეცვალა, აღმოჩნდა, რომ ეს ხელისუფლება არ აწყობთ, რადგან მათი ყურმოჭრილი მონა არ არის. ამიტომ უნდათ, ის დაამხონ და მათი მორჩილი დააბრუნონ. ამ ყველაფერს ხალხის ინტერესების სახელით აკეთებენ. საზოგადოების ნაწილის ტვინების გამორეცხვა, ტყუილის მართლად გასაღება კარგად გამოსდით, რადგან ძირითადი მედიასაშუალებები მათ ხელშია.

— უცხო ქვეყნის საქმეებში ასეთი ფორმით ჩარევის ანალოგი არსებობს?

— მსოფლიოში ვერ დამისახელებთ მეორე ქვეყანას, სადაც სხვა ქვეყნის სუვერენიტეტში ასე უხეშად ერევიან. როცა გვარამია ამბობს, საერთაშორისო ფონდებმა მილიონი დოლარი არამიზნობრივად მომცესო, ეს აბსურდია. მას თანხა მიზნობრიობის გარეშე კი არა, იმ მიზნით მისცეს, რისი გამხელაც, ფაქტობრივად, ქართველ ხალხს ააჯანყებდა. ამიტომ ეს მიზანი დაფარული უნდა იყოს. **ეს კანონი სწორედ ამ მიზნებს გააშიშვლებს და ყველაფერს ხილულს გახდის.**

დღეს შექმნილი მოცემულობა ასეთია: საქართველოს ტერიტორიების 20% რუსეთს აქვს დაპყრობილი, დარჩენილი 80%-ის დაპყრობა კი, ანუ ჩვენი იურისდიქციის ჩამორთმევა, სუვერენიტეტის ხელყოფა გარე ძალებს სურთ, რომლებიც აქ მეხუთე კოლონას აფინანსებენ. მათ კვლავ უნდათ, ქვეყნის 80%-ზე ძალაუფლება დაიბრუნონ, როგორც ეს სააკაშვილის დროს ჰქონდათ. აი, რას უწყობენ ხელს ეს დაფინანსებული ენჯეოები. დააკვირდით, ისინი ხმას მხოლოდ მაშინ იღებენ, როცა ოპოზიციას „დახმარება“ სჭირდება და ეს მათი მეპატრონეების ინტერესს ემთხვევა.

2012 წლიდან დღემდე არ მახსენდება არცერთი აქცია, რომელიც ენჯეოებმა ხალხის ინტერესების დასაცავად გამართეს და თქვეს, რომ ციხეებში, საავადმყოფოებში, სკოლებში, შახტებში პრობლემაა და ქუჩაში ამიტომ გამოვიდნენ. მათ ადამიანის უფლებების დაცვა საერთოდ არ აინტერესებთ. უკვე მოგახსენეთ, დამფინანსებლების ინტერესი — ტერიტორიის 80%-ის ოკუპაცია. ამ მიზნით აფინანსებენ არალეგალურად ოპოზიციურ პარტიებს და ვითომ ლეგალურად, ენჯეოებს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ხელისუფლებაში სააკაშვილი დაბრუნდება? — ის, რასაც მომმე უკრაინა მოგვიწოდებდა, – შეისეირნეთ ცხინვალში, აფხაზეთშიო, ანუ, მეორე ფრონტის გახსნა. ჩემი ვარაუდით, ამ გზით ფიქრობდნენ ხელისუფლების დამხობას, ქართველი ხალხის დახოცვას და პროექტის — „საქართველო ქართველების გარეშე“ განხორციელებას. აგერ, 40-მილიონიანი ერი განადგურების პირასაა. საქართველოშიც იგივე სურთ. სწორედ ამიტომ ებრძვიან ამ კანონს.

— ქალბატონო ნანა, ოპოზიციური ტელეარხებიდან, ოპოზიციის თუ მართული ახალგაზრდების მხრიდან, მუდმივად ისმის, რომ ეს რუსული კანონია.

— დიახ, ეს შემთხვევით როდი ხდება. აბა, სხვა როგორ უნდა გამოეწვიათ ხალხის აღშფოთება, იმას ხომ არ იტყვიან: ქვეყნის განადგურება გვინდა და მხარში დაგვიდექითო. ისეთი რამ უნდა მოეფიქრებინათ, რომ ხალხში პროტესტი, მისი გაბრიყვება გამოეწვია. ფიქრობენ, რომ ასე კავკასიაში რუსეთის გავლენებს შეასუსტებენ. მხოლოდ ამით თუ ავხსნით იმ თავხედობას, რასაც აქ აკრედიტებული ელჩები ბედავენ, მოგვიწოდებენ: ეს რუსული კანონია და არ მიიღოთო. საზოგადოების გამოყენების მიზნით, ამ თემის სტიგმატიზებას ახდენენ. ხალხის ნაწილი დააზომბეს და მის „პატრიოტულ“ გრძნობებზე მოქმედებენ. შედეგად, ისინიც გაჰყვირიან: არიქა, რუსეთი გვიპყრობს, რუსული კანონი რად გვინდაო მაშინ, როცა სახლებში რუსული გაზი უნთიათ და რუსულ პურს ჭამენ. თურმე, „რუსული“ კანონი არ უნდათ.

ახლა გაიძახიან, ყველა არასამთავრობო აგენტის იარლიყის ქვეშ ექცევაო. მეტიც, ხალხს არწმუნებენ, ვინც დახმარებას იღებს, ყველა უცხო ქვეყნის აგენტად შეირაცხებაო. კი მაგრამ, თუ ფულს იმაში იღებ, რომ ადამიანებს დაეხმარო, მაშინ სამარცხვინო რატომ არის, თქვა, ამ ფონდის გავლენის აგენტი ვარო. ადამიანის დახმარება, კეთილი საქმის კეთება, საამაყოა თუ სასირცხვილო?! კი არ რცხვენიათ, ქართველი ხალხის ეშინიათ. რადგან ღია, საჯარო თუ გახდება, რაში ხარჯავენ ამ „შემოწირულობებს“, ქართველი ხალხი ამ ენჯეოებს ქვეყნიდან თვითონ განდევნის. სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნით ბევრი გაბრიყვებული ადამიანია, რომელსაც მართლა ჰგონია, რომ ამ კანონის მიღებით რუსეთში მიაქანებენ. კანონს დაფიქრება, წაკითხვა, გაანალიზება სჭირდება, მაგრამ ჩვენ ხომ ნიჭიერთან ერთად ზარმაცი ხალხიც ვართ — წაკითხვა გვეზარება. მხოლოდ უფალს შეუძლია, ამ ხალხს გონება გაუნათოს და მტყუან-მართალი დაანახვოს. თუ განწირულნი არ ვართ, უფალი აუცილებლად დაგვიფარავს.

თამარ შველიძე

პოლიტიკური თანასწორობა - დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზა

დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ჩვენთვის მისაღები გზა

მსოფლიოს ისტორიაში დაკარგული ტერიტორიების ძალით დაბრუნების უამრავი მაგალითი არსებობს. ბოლო ასეთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ აზერბაიჯანის მიერ ყარაბახის ძალისმიერი დაბრუნება, მაგრამ იძლევა კი ძალით გადაწყვეტილი დავა მშვიდობის მყარ გარანტიას? ვერც „კი“-ს ვიტყვი და ვერც „არა“-ს, ანუ არგუმენტირებული პასუხი არცერთის მიმართ არ გამაჩნია. ამიტომ მოვიტან ყველა ქართველისთვის კარგად ცნობილ სიტყვებს: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ეს ბრძნული სიტყვებია და მათი ავტორი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, მაგრამ ეს ქართველის სიტყვებია, რაც საამაყოც არის და პირდაპირი მინიშნებაც, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სწორი გზა მშვიდობიანი გზაა.

აფხაზეთის ომის დასრულების დღიდანვე ვეწევი მშვიდობიანი გზის აგიტაციას, შევარნდაძეც ამ გზის მომხრე გახლდათ და ამჟამინდელი ხელისუფლება, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ მხოლოდ მშვიდობიანი გზით დაიბრუნებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. ხელისუფლების ამგვარი კატეგორიულობა მისასალმებელია, მაგრამ როდის, ანუ რა ვადაში დაიბრუნებს დროებით დაკარგულ ტერიტორიებს, ამის თქმა უჭირს. მე კი მიმაჩნია, რომ საქართველოს გამთლიანებისთვის საკმარისია ერთი, ან, მაქსიმუმ, ორი წელი. მაგრამ ენას ძვალი არა აქვს და რასაც უნდა, იმას იტყვის კაცი, ამიტომ ვალდებული ვარ, განვმარტო, რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს გამთლიანება ჩემს მიერ პროგნოზირებულ ვადებში მოხდეს.

კონფლიქტების გაჩენის მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები

ამისთვის ჯერ უნდა დავადგინოთ ის მიზეზი, რომელმაც საქართველოს კონფლიქტების დაბადებამდე მიგვიყვანა, ამ მიზეზის დადგენის შემდეგ ის უნდა აღმოიფხვრას და ამით კონფლიქტებიც დასრულდება.

ამიტომ, კონფლიქტების მიზეზის პოვნა სტარტად უნდა მივიჩნიოთ, ამ მიზეზის აღმოფხვრა კი ფინიშად, ანუ კონფლიქტების დასასრულად. რა ვიცით? ვიცით, რომ საძიებელმა მიზეზმა დააზიანა თბილისის ურთიერთობა სოხუმთან და ცხინვალთან, რამაც მშვიდობის ხარისხის გაუარესება და აფხაზეთის ომი გამოიწვია.

ვინაიდან ოჯახი იგივე სახელმწიფოა, ოღონდ ძალიან შემცირებულ მასშტაბში, გთავაზობთ აფხაზეთის ომის მიზეზი პირობითი ოჯახის მაგალითზე ვეძიოთ. ცოლ-ქმარი და მათი შვილები უკვე ოჯახია. მშვიდობის ხარიხს ამ ოჯახში ოჯახის წევრების ურთიერთობის ხარისხი განაპირობებს. ნორმალური და კარგი ურთიერთობა ოჯახური იდილიისა და მშვიდობის ხარისხის ზრდის საწინდარია, მაგრამ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ცოლ-ქმარს და მათ შვილებს შორის თანასწორობა სუფევს და ოჯახის თითოეული წევრი გრძნობს ამ თანასწორობას. თუ თანასწორობაში ბზარი გაჩნდა და ეს ბზარი დროულად არ აღმოიფხვრა, ბზარი გაიზრდება და იმ დონემდე დააზიანებს მშვიდობას, რომ ოჯახური კონფლიქტი გარდაუვალი გახდება.

იგივე მოხდება სახელმწიფოს შემთხვევაშიც, ამიტომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მშვიდობას საფუძვლად თანასწორობა უდევს. კერძოდ, ოჯახში საუბარია ოჯახის წევრების თანასწორობაზე, საქართველოში — თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის თანსაწორობაზე. ამიერკავკასიაში კი მშვიდობას საფუძვლად უდევს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თანასწორობა. ამიტომ, თუ შევთანხმდებით, რომ საქართველოს კონფლიქტების დაბადება გამოიწვია თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის თანასწორობაში გაჩენილმა ბზარმა, ამით სტარტს მივცემთ საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესის დაწყებას. როდესაც თანასწორობაში გაჩენილი ბზარი აღმოიფხვრება, ეს პროცესი ფინიშის სწორზე აღმოჩნდება და კონფლიქტიც დასრულდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამოქალაქო თანასწორობაში გაჩენილი ბზარი (თუ ასეთი ბზარი საერთოდ არსებობდა) კონფლიქტებს არ დაბადებდა. კონფლიქტების დაბადება პოლიტიკურ თანასწორობაში გაჩენილმა ბზარმა გამოიწვია.

ასეთ მოსაზრებას ვამყარებ იმით, რომ საქართველოს იმდროინდელმა ბრძოლამ რუსეთისგან დამოუკიდებლობისთვის, უბიძგა აფხაზებსა და ოსებს საქართველოსგან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისკენ. მოგეხსენებათ, იმდროინდელი პოლიტიკური თანასწორობა მოსკოვსა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ფორმალური გახლდათ. ასეთივე ფორმალური გახლდათ თბილისის პოლიტიკური თანასწორობა სოხუმთან და ცხინვალთან. აქედან გამომდინარე, საქართველოს გამთლიანებისთვის ჰაერივით საჭიროა ფორმალურად არსებული პოლიტიკური თანასწორობის გადაყვანა რეალური თანასწორობის რელსებზე. ამ საკითხზე ერთად უნდა იმუშაონ თბილისმა, სოხუმმა და ცხინვალმა, მაგრამ მოსკოვს და ვაშინგტონს მყარად აქვთ გადგმული ფესვები დე იურე საქართველოში და არ მისცემენ უფლებას თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს, დამოუკიდებლად იმუშაონ კონფლიქტების დარეგულირებაზე, ვინაიდან მათ საკუთარი გავლენის გაძლიერება სურთ და არა უკვე არსებული გავლენის შესუსტება. აშშ და რუსეთი კი ერთმანეთის მტრები რომ არიან, ამას აღარც მალავენ, როგორ უნდა მოიქცეს ოფიციალური თბილისი, მათი მტრობის გამო უარს ხომ არ იტყვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე? გამოსავალს საქართველოში არსებული პრორუსული ძალები გვთავაზობენ.

კერძოდ, გვთავაზობენ, უარი ვთქვათ დასავლურ ვექტორზე და რუსულ ვექტორს დავუბრუნდეთ. მე ვეთანხმები ამ ძალებს, რომ ასეთ შემთხვევაში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უპრობლემოდ დავიბრუნებთ. Mაგრამ, ამერიკულ ვექტორზე განვაგრძობთ დგომას, თუ რუსულ ვექტორზე დავდგებით, ორივე შემთხვევაში (ბოდიშს ვიხდი იმისთვის, რასაც ვიტყვი) **მათ ვექტორებზე დაჯდომაც მოგვიწევს. ვიღაცის ვექტორზე დაჯდომა ქართულ გენეტიკას ეწინააღმდეგება.** ამიტომ, ხელისუფლება ქართულ ვექტორზე უნდა დადგეს. ისეთ ვექტორზე, რომელიც, პირველ რიგში, მიმართული იქნება კარის მეზობლებთან მეგობრობისკენ და შემდეგ მეგობრობისკენ დანარჩენ მსოფლიოსთან. ოღონდ, ამჟამინდელმა და ყველა მომდევნო ხელისუფლებებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ **მეგობრობას ისევე, როგორც მშვიდობას, საფუძვლად უდევს მხარეთა პოლიტიკური თანასწორობა.**

ვიმეორებ, პოლიტიკური თანასწორობა, ვინდაიდან სამოქალაქო თვალსაზრისით: თეთრებიც, შავებიც და ყვითლებიც ისედაც თანასწორები ვართ. პოლიტიკური თანასწორობის ფორმალურობა მოჩვენებითი მეგობრობის და უხარისხო მშვიდობის მაჩვენებელია. მაგრამ ხელისუფლებაა ყოველთვის შეამჩნევს, ვინ არის საქართველოს რეალური მეგობარი და ვინ თამაშობს მეგობრობანას. ამიტომ, კონფლიქტების დარეგულირება მოსკოვებისა და ვაშინგტონის ჩართულობნით, ნათლად დაგვანახვებს, რომელი ბირთვული იმპერიაა საქართველოს მეგობარი. რა თქმა უნდა, ისწრაფვოდეს ორივე ბირთვულ იმპერიასთან მეგობრობისთვის, რაც მათთან მხოლოდ პოლიტიკური თანასწორობის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.

ამიტომაც ვთავაზობდი სამივე ხელისუფლებას, თამამად დაეწყოთ საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესი მოსკოვისა და ვაშინგტონის ჩართულობით, ანუ ხუთეულის ფორმატის ამოქმედებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კონფლიქტები ფორმალურმა პოლიტიკურმა თანასწორობამ დაბადა, დავინახავთ, რომ კონფლიქტის დასრულება ამ ფორმალური თანასწორობის

რეალური თანასწორობის რელსებზე გადაყვანას ნიშნავს. ასეთ რელსებზე გადასასვლელად საკმარისია ხუთეულის ფორმატის წევრებმა, ანუ თბილისმა, სოხუმმა, ცხინვალმა, მოსკოვმა და ვაშინგტონმა ერთად შეარჩიონ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელი, რომელშიც საქართველოს სუბიექტების პოლიტიკური თანასწორობა გამოიკვეთება. პირადად ჩემთვის მისაღებია ამერიკული, ანუ შტატებად დაყოფის მოდელი.

კითხვაზე, როგორ უნდა იმუშაოს შტატებად დაყოფილმა საქართველომ, ასეთ პასუხს გავცემდი: რა არ მოგწონთ ამერიკის შტატების მუშაობის სტილში? ამით იმის თქმა მინდა, რომ აშშ-ის საშინაო პოლიტიკა ერთი-ერთში გამოადგება საქართველოს საშინაო პოლიტიკასაც, ოღონდ, ქართული, აფხაზური და ოსური ტრადიციების სრული გათვალისწინებით. მაგრამ ეს ჩემი ვერსიაა, საბოლოო ვერსიას კი თბილისი, სოხუმი, ცხინვალი, მოსკოვი და ვაშინგტონი ერთად შეიმუშავებენ მაშინ, როდესაც ხუთეულის ფორმატი შეიქმნება და დაიწყებს მუშაობას.

ხუთეულის ფორმატი

რამ შეიძლება შეუშალოს ხელი საქართველოს კონფლიქტების დარეგულირებას, ანუ ხუთეულის ფორმატის მუშაობას?

საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციის ფაქტი ხუთეულის ფორმატის მუშაობას ხელს არ შეუშლის. ეს ტერიტორიები ოკუპირებულია მათი ძალისმიერი გზით დაბრუნების მცდელობის პრევენციისთვის და არ არის მიმართული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების წინააღმდეგ.

ერთადერთი, ვისაც საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება არ აწყობს, არის ძალა, რომელსაც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ „ომის პარტია“ დაარქვა, მე კი „ჩრდილოვან ძალებს“ დავარქმევ. „ჩრდილოვანს“ იმიტომ, რომ ეს ძალები იმართება უდიდესი გავლენისა და ძალიან დიდი ფულის მქონე უცნობი ადამიანების მიერ.

ამ ადამიანების ვინაობა უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათ მიერ კონტროლირებადი „ჩრდილოვანი ძალები“ აზიანებენ მშვიდობის საფუძვლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამას ახერხებენ პრესის, ტელევიზიების, ენჯეოების, პოლიტიკური პარტიების, უცხო ქვეყნების ხელისუფლებაში საკუთარი კადრების მოყვანითა და რევოლუციებით. ამ „ჩრდილოვანმა ძალებმა“ დემოკრატიაში ორმაგი სტანდარტი დანერგეს, რაც საშუალებას აძლევთ მათ, დემოკრატიულად წარმოაჩინონ ის, რაც ანტიდემოკრატიულია. რა არის „ჩრდილოვანი ძალების“ თავკაცების გლობალური მიზანი, ძნელი სათქმელია, მაგრამ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იარაღის ბიზნესის ლომის წილი მათ ხელშია, ამიტომ მთელი მსოფლიო, ანუ ჩვენი მსოფლიო, მათთვის იარაღის გასაღების ბაზარია და მეტი არაფერი. იარაღის გასაღებას ცხელი წერტილები და ხანგრძლივი ომები სჭირდება. მაგალითად, ისეთი, როგორიც უკრაინის ომია. ეს ძალები აუცილებლად გამონახავენ მიზეზს, რომლითაც შეეწინააღმდეგებიან ხუთეულის ფორმატის მუშაობას. მაგალითად, შეეცდებიან, აამხედრონ საზოგადოება ხელისუფლების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ხუთეულის ფორმატში მოსკოვიც იფიგურირებს. ვიმეორებ, „ჩრდილოვანი ძალების“ მთავარი იარაღი დემოკრატიაში ორმაგი სტანდარტის დანერგვაა, რაც დემოკრატიის დამახინჯებას, ანუ უმცირესობის მიერ უმრავლესობის დაჩაგვრას ნიშნავს, მაგრამ ამ ძალებს თავი არ უნდა დავაჩაგვრინოთ, ამისთვის კი საკმარისია, თამამად დავიწყოთ კონფლიქტების დარეგულირება.

მომდევნო ნომერში ვიმსჯელებთ იმაზე, თუ ვინ უნდა წარუძღვეს საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესს.

როლანდ ნიკოლაიშვილი
„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარე

გამჭვირვალობის კანონი ქვეყნის სტაბილურობის გარანტია

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე:

— ბატონო გრიგოლ, „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გარშემო ვნებათაღელვა არ წყდება. რა სახის გავლენას ახდენს საქართველოს განვითარებაზე უცხოური სახელმწიფოები თუ ფონდები?

— მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში როგორ ცდილობდა უკრაინა, ასევე ჩვენი ოპოზიციაც, საქართველოს ომში ჩათრევას. ყვირილით და შეძახილებით ომი ვის მოუგია? თუ ასეთი გულშემატკივრები იყვნენ, წასულიყვნენ, ეომათ და კონფლიქტში ჩართულ ქვეყანას ასე დახმარებოდნენ. ფაქტია, ყოველივე სათავეს ახლო წარსულიდან, რამდენიმე წლის წინათ იღებს. მიზანი რეგიონში არასტაბილური სიტუაციის შექმნაა. მეზობელ ქვეყნებს: თურქეთს, აზერბაიჯანს აქ მშვიდობა და სტაბილურობა უფრო აწყობთ. რუსეთის ხსენებაზე კი მავანი მაშინვე პრორუსობას გაბრალებს. საქართველო ამ ეტაპზე უმკლავდება იმ გამოწვევებს, რასაც რეგიონშიც და აქაც მშვიდობის შენარჩუნება ჰქვია. ალბათ, მკითხავთ, რაზეც ახლა ვსაუბრობ, გამჭვირვალობის კანონთან რა კავშირშია?! საქმე ის არის, რომ ამ კანონის პარლამენტში განხილვას ენჯეოების, დონორი ორგანიზაციების უკმაყოფილება მოჰყვა, რადგან, მისი მიღების შემთხვევაში, მათ საქართველოზე მანიპულირების, ომში ჩართვის ბერკეტი ხელიდან ეცლებათ. საერთაშორისო ორგანიზაციები გვიმტკიცებენ, გამჭვირვალობის კანონი ენჯეოებს დააზიანებსო. დასავლეთი ცდილობს საქართველო მის მიერ დაფინანსებული ენჯეოებით მართოს. კი ბატონო, არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი ქვეყნისთვის კარგ საქმეებსაც აკეთებს ადამიანის უფლებების დაცვის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით და ა. შ. მათ შორის, „იუესაიდის“ მიერ დაფინანსებული რიგი პროექტებითაც ბევრი კარგი საქმე გაკეთებულა. კანონი საჭიროა, რათა გაკონტროლდეს, შემოსული თანხებით ხომ არ იქმნება ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერა, რათა ყოველივე დროულად აღიკვეთოს.

გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ უკონტროლოდ შემოსული თანხები რეგიონში იმ ქვეყნებში გაედინებოდეს, რომლებიც ზემოთ დავასახელე. „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ **კანონის მიღება მხოლოდ საქართველოს ინტერესი როდი გახლავთ, ეს რეგიონში უსაფრთხოების ერთგვარი გარანტიაცაა და იმ ქვეყნების ინტერესშიც შედის, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ესაზღვრება.** დიახ, ამ კანონის მიღების მიღმა რეგიონის ინტერესიც დევს. გამჭვირვალობის კანონის მიღება ქვეყნის და, ზოგადად, რეგიონის სტაბილურობის გარანტია. ხოლო ქვეყნებს, რომლებიც ამ კანონის მიღებას ეწინააღმდეგებიან, გამჭვირვალობის კანონით დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობა საგრძნობლად უმცირდებათ. აი, რისთვის არის ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი.

მეორე მხრივ, საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: თუ პარლამენტი კანონს მესამე მოსმენით დაამტკიცებს, არ გამოვრიცხავ, ეს გადაწყვეტილება ენჯეოებმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ. როგორც მოგეხსენებათ, 2016 წელს კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების თაობაზე ჩანაწერი გაკეთდა. დასაბუთებული სარჩელის წარდგენის შემთხვევაში კი, სასამართლომ, შესაძლოა, გამჭვირვალობის კანონი ანტიკონსტიტუციურად ცნოს.

— რა მოტივით?

— საქმე ის არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწევთ დაასაბუთონ, როგორ უშლის კანონი ხელს ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებას. საკონსტიტუციო სასამართლოში, ალბათ, მოიშველიებენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, სხვადასხვა ქვეყნის ელჩების, პირველი პირების განცხადებებს, რომლებიც მოგვიწოდებენ, გამჭვირვალობის კანონი არ მივიღოთ. ამ განცხადებებს მტკიცებულებებად გამოიყენებენ. ენჯეოებმა უნდა დაასაბუთონ, რა ზიანი ადგებათ ამ კანონის მიღებით. თუ დაასაბუთებენ, რომ კანონი კონსტიტუციაში შეტანილ ჩანაწერს, კერძოდ, ევროატლანტიკურ სივრცეში მისწრაფებას ეწინააღმდეგება, მაშინ ის მოხდება, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ეს გახლავთ სამართლებრივი მხარე. რაც შეეხება პოლიტიკურს, ვხედავთ, რომ უწყვეტი აქციები დაიწყო. არჩევნები ახლოვდება და, ბუნებრივია, ოპოზიცია პატრონებთან ქულების დაწერას ცდილობს. არჩევნებამდე ხელისუფლებამ ეს კანონი აუცილებლად უნდა მიიღოს, რათა საპარლამენტო არჩევნების მზადების პერიოდში ქაოსი და რევოლუციური პროცესები თავიდან ავიცილოთ.

ვფიქრობ, ოპოზიცია შეეცდება, არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში გაყალბებულად გამოაცხადოს. გამორიცხული არ არის, თუ ხელისუფლება ამ კანონს მიიღებს, დასავლეთმა არჩევნების პერიოდში ქვეყანაზე ზეწოლა განახორციელოს. მიმდინარე აქციები წინასაარჩევნო სამზადისია. თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლება არჩევნების დროს უფრო მეტად მოექცევა საერთაშორისო თანამეგობრობის წნეხის ქვეშ. „ქართული ოცნება“ არჩევნებს მოიგებს თუ არა, დასავლეთმა, შესაძლოა, შედეგები მაინც არ აღიაროს და მას ხელისუფლების გადაბარება ან კოალიციური მთავრობის შექმნა მოსთხოვოს. კოალიციური მთავრობა არასტაბილურობის განცდას ქმნის. ეს გამოცდილება ახლო წარსულში გვქონდა: როცა შევარდნაძე ხელისუფლებიდან წავიდა და მისი ადგილი მიშამ დაიკავა. საბოლოოდ, გაპრეზიდენტებულმა სააკაშვილმა სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. კოალიციური მთავრობისგან წარმოშობილი არასტაბილურობა ხელისუფლების გადაბარებას ბიძგს მისცემს. „ქართული ოცნება“ კანონთან დაკავშირებით სიხისტეს იჩენს. იმედია, ის კოალიციის შექმნას ხელს არ შეუწყობს, რადგან ეს ხელისუფლების ერთიანობას ჩამოშლის.

— ოპოზიციონერებმა აპოზიციონერებს, ანდ ოპოზიციონერებს ამბობ, კანონის მეორე მუხლი რუსული კანონის ანალოგიაო. როგორც იურისტი, რას იტყვით ამის თაობაზე?

— ეს თითიდან გამოწოვილი რიტორიკაა. ოპოზიციას, ენჯეოებს უცხოელი დამფინანსებლები გარედან ეუბნებიან, გამჭვირვალობის კანონი არ უნდა მიიღოთო და ესენიც დავალებას ასრულებენ.

აქციებზე მყოფი მოქალაქეების დიდ ნაწილს კანონი წაკითხულიც არ აქვს და ვერ გაურკვევიათ, რომ ეს არ ეხება სამეცნიერო, განათლების, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა არაერთ მიმართულებას. გამჭვირვალობის კანონი სწორედ იმ მიზნითაც იქმნება, რომ შემოდინებული ფინანსები მიზნობრივად დაიხარჯოს და არა მოლოტოვის კოქტეილებში, რომლებსაც აქციაზე პოლიციელებს ესროდნენ; ან ბლაგვი საგნების შეძენაზე, რაც შესაძლოა იარაღად იქნას გამოყენებული.

სამწუხაროდ, ამ პროცესში ჩაითრიეს ახალგაზრდები, რომელთა ემოციებს ბრმა იარაღად იყენებენ. ეჭვი არ მეპარება, თავად ახალგაზრდების დიდ ნაწილს მართლა ჰგონია, რომ ქვეყნისთვის კარგ საქმეს აკეთებს. მათ გულუბრყვილობას ქვეყანასთან, სამართალდამცავებთან დაპირისპირებისკენ მიმართავენ. ისიც მოვისმინე, რომ მათ გარკვეული მედიკამენტებით აბრუებენ, შედეგად, საკუთარ საქციელს ვეღარ აცნობიერებენ. ახალ თაობას კლავენ როგორც სულიერად, ისე ხორციელად. ეს დაუშვებელია. ნარკოლიბერალიზაციამ რა შედეგიც მოიტანა, ხომ ვხედავთ. მუდმივად ჯანსაღი ცხოვრების წესის აგიტაციაა საჭიროა, რათა ახალგაზრდა თაობა არ დაიკარგოს.

— ოპოზიციონერებმა აპოკალიფსური სურათი დახატეს: ხელისუფლება კანონს თუ არ გაიწვევს, კანდიდატის სტატუსსაც შეგვიჩერებენ და ვიზალიბერალიზაციასაც გაგვიუქმებენო.

— საქართველო საცდელ ობიექტს ემსგავსება. ჩვენ გამჭვირვალობის კანონის მიღებას გვიკრძალავენ, თავიანთ ქვეყნებში კი ანალოგიურ კანონს უპრობლემოდ იღებენ. აშშ-ში და რუსეთში აღნიშნულ კანონებში უფრო მკაცრი დირექტივებია. იქ თუ თანხის წარმომავლობას არ წარადგენ, ამაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება, ჩვენთან კი კანონი მხოლოდ ჯარიმის დაწესებას ითვალისწინებს.

რაც შეეხება სტატუსის შეჩერებას, ასეთ საშიშროებას არ ველი, რადგან საქართველოს მიმართ ასეთი რადიკალური ნაბიჯი თავად დასავლეთს დააზიანებს. თანაც, ამ ქმედებით, დასავლეთი ჩვენს ქვეყანაზე გავლენებს დაკარგავს. დასავლეთს საქართველო რეგიონში თბოენერგორესურსების გამტარებლად სჭირდება. ბოლო დროს ჩვენი ქვეყნით ჩინეთიც დაინტერესდა და სტრატეგიული პატრნიორებიც გავხდით, რაც აშშ-ს არ მოსწონს. ამიტომ, შესაძლოა, სტატუსის შეჩერების რისკი მართლაც არსებობს, მაგრამ ამ შეცდომას დასავლეთი არ დაუშვებს. მოგეხსენებათ, როცა ერთი სუბიექტი ქვეყანაზე გავლენას კარგავს, მას მეორე ეპატრონება. ვიმეორებ, საქართველოში გვინდა თუ არა, მშვიდობის შენარჩუნება – ეს მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, არამედ, რეგიონის ინტერესიცაა.

თამარ შველიძე

საქართველოს კოშმარად ქცეული „კოჭლი იხვი“

„კოჭლმა იხვმა“ სალომე ზურაბიშვილმა „ფრანსე ინფოს“ ინტერვიუ მისცა — ეს ქალი რაღას გადამეკიდა!

ამ სამარცხვინო ქალის ხსენებას ყველანაირად ვარიდებ კალამს, მაგრამ თითქოს ჯინაზე, არც თვითონ ისვენებს და არც მე მასვენებს. არადა, იმდენი სახელი დავარქვი, მეგონა, ვეღარაფერს მოვუფიქრებდი, მაგრამ მუზას მიცოცხლებს, ამჯერად „ხრამოი კაშმარ-უტკა მოტოვილაშვილია“, — საქმის არსს გზადაგზა მოგახსენებთ.

„კოჭლი იხვი“: „გუშინ, მე პარლამენტის თავმჯდომარემ უცხოური ძალის აგენტი მიწოდა, რადგან მე გამოვაცხადე ჩემი სურვილი, დამედო ვეტო ამ კანონზე, მაგრამ მოსახლეობა მედგრადა დგას.

არ ვარ დარწმუნებული, რომ ის შეძლებს, უკან დაახევინოს მთავრობას, რომელმაც ეს კანონი ერთ წელიწადში მეორედ შემოიტანა, სავარაუდოდ, მოსკოვის მოთხოვნით, მაგრამ ამ მთავრობას უკან დაახევინებს არჩევნები, რომელიც ამ წლის ოქტომბერში ჩატარდება.

რუსეთი დღეს იარაღად იყენებს საქართველოს მთავრობას, ხელისუფლებას...

არჩევნები გადამწყვეტი იქნება იმისათვის, რომ თავიდან მოვიშოროთ არა ოცნება, არამედ „ქართული კოშმარი!“

ძალიან მომეწონა ეს სახელი – „ქართული კოშმარი“, ეს უსამშობლო გასტროლიორი თვით კოშმარი-ქალი „ქართულ ოცნებაზე“ რომ იტყვის, ქართული კოშმარიაო, კი უნდა გაილაღოს „ქართულმა ოცნებამ“, მაშასადამე, რაღაცას ძალიან სწორად აკეთებს.

დიახ, „ქართულ ოცნებაში“ განსხეულებული მისი ამომრჩეველი ქართული კოშმარი უნდა იყოს საქართველოს ყველა ავისმოსურნისთვის!

რეები აკეთა ამ ქალმა და კიდევ რამდენ მავნებლობას მოასწრებს, ამის მომლოდინე რატომ უნდა გავმხდარიყავით, რატომ არ და ვერ უნდა აგოს პასუხი ყველა იმ სიავეზე, რაც უკვე ჩაიდინა და საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე უეჭველად კიდევ ჩაიდენს?

მსოფლიოში ყველაზე ჩუმი, საზიფათო და დიდი გველი ანაკონდაა, ასე ვიცოდი — ეს ფლიდი ქალი უარესი ყოფილა!

მიხეილ სააკაშვილმა თუ ზარზეიმით შემოგვაჩეჩა მრავალთათვის სრულიად უცნობი ქალი, ვინმე სალომე ზურაბიშვილი, მომდევნო ჯერზე საფრანგეთის რომელიღაც მივიწყებული საკრუასანედან ისე ჩუმად შემოსრიალდა „ქართული ოცნების“ მანტიის ქვეშ, გაოცებაც ვერ მოვასწარით.

ის თუ არ ვიცოდით, „ქადჟების“ ვითომ მოძულე სალომე ზურაბიშვილი, საქართველოსთვის ძნელბედობის ჟამს სამშობლოდან გაქცეული ქართველების შთამომავალი, შემდგომში რას მოიმოქმედებდა, ქვეცნობიერი გვეუბნებოდა და ამიტომაც გახდა საჭირო ყოვლად ურეიტინგო გრიგოლ ვაშაძესთან საპრეზიდენტო ჭიდილში მეორე ტურის დანიშვნა.

ე.წ. პრეზიდენტმა საქართველოში საქართველოს პოლიციის ნებისმიერი პოლიციელის ცოცხლად დაწვასა და ნებისმიერ პოლიციელზე ხელის აწევას რომ მწვანე შუქი აუნთო მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მაშინ იკითხა ქალბატონმა თამარ ჩიბურდანიძემ, კიდევ რაიმე უსინდისობა თუ დარჩა, რაც ზურაბიშვილს არ გაუკეთებიაო? დარჩა, ქალბატონო თამარ, თუ ჩვენი დაუძინებელი მეგობრები გადაწყვეტენ, რომ ურნიდან ამოსაღებია, უბრძანებენ და ყველა ჩადენილ უსინდისობას მიხეილ სააკაშვილის შეწყალებას დაადებს გვირგვინად!

ორი უკიდურესობა — სააკაშვილმა თავზე დაგვასვა პოლიცია და პოლიციურ სახელმწიფოდ გვაქცია, ამ ქალმა კი ფეხქვეშ გათელა პოლიციელის მუნდირი და პოლიციის ღირსება! — კანონის ვალდებულება სხვა გზას არ ტოვებს, თორემ პოლიციის დაცვის გარეშე უნდა დარჩეს ე.წ. პრეზიდენტიცა და ის ბრბოც, რომლებიც პოლიციის უმოქმედობით არის გათათამამებული. პოლიციის იდიოტური თმენის ვალდებულება ვინც დაგვიკანონა, ისინი ხომ იგივენი არიან, რომლებიც მერაბიშვილის პოლიციას თმენის ვალდებულებას არ სთხოვდნენ?

მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს სახელს ამოფარებული ეს უცხო ქვეყნის აგენტი „კოჭლი იხვი“, ყოველგვარი დაფარვის გარეშე, ღიად გახდა ტერორიზმის მომხრე და მფარველი; რევოლუციონერი და სისხლდანატრული;

აგენტი კიდევ ლამაზად ესმის ყურს, გაცვეთილი ენატანია შპიონია ეს ქალი!

ამ უტიფარმა ქალმა, ე. წ. საქართველოს პრეზიდენტმა, რომლისთვისაც სირცხვილის გრძნობა აბსოლუტურად არარსებული გრძნობა ყოფილა, ევროპაში იჩივლა და ევროპელ პოლიტმაღალჩინოსნებს მოსთხოვა, სასწრაფოდ ჩარეულიყვნენ საქართველოს შიდა საქმეებში.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ვინ არიან, ვინ დანიშნა საქართველოს შიდა სამზარეულოს დამლაგებლებად, რომ მათ მიმართა, მერე რა, რომ საქართველოს საკითხი დღის წესრიგში არ გაქვთ შეტანილიო — ყველგან და ყველასთან თავხედი და სამარცხვინო... ვერ ვიჯერებდი, თუ ამდენი უტიფრობაც შეეძლო, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაადასტურა ჩივილის უტყუარობა... იმდენად მონური ფსიქოლოგია აქვს თვითონ, რომ მისხალი დაშვებაც არ აქვს ფიქრშიც კი, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და არა საფრანგეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის კოლონია და საქართველოს, ახლაც, ფაქტობრივად, სწორედ ამ საკითხზე აქვს დაძაბულობა დაუძინებელ მეგობრებთან.

100%-ანი ჭეშმარიტება თქვა ბატონმა გია აბაშიძემ: „პირობითი პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მხრიდან ე. წ. ჩივილი ევროპაში, ჩაერიონ ჩვენს შიდა საქმეებში, წარმოაჩენს მის უსირცხვილო სახეს. საქართველო სახელმწიფოა და არა რაღაც დომინიონი!

თუმცა, აგენტოკრატიის მარიონეტის, მადამ არაადეკვატური ზურაბიშვილის დეკადანსი შეუჩერებელია და მისთვის კიდევ უფრო დამანგრეველ ფორმებს იღებს.“

კი, ევროპაში საქართველოს უჩივლა, ამათ, ამ განვითარებად ქართველებს, მართლა მოსდომებიათ დამოუკიდებლობა და მოსცხეთ თქვენებურადო, მაგრამ ნამდვილი ევროპელი მაღალჩინოსნები, ცალკეული ამერიკელი მაღალჩინოსნისგან განსხვავებით, მაინც ევროპელები არიან, ამიტომ, ფაქტობრივად, თავზე გადაახიეს სუვერენული სახელმწიფოს უფლებების შემლახველი საჩივარი.

მანამდე, იმავე სალომემ X-ზე დაწერა, რომ „ხელისუფლების დაჟინება, მიიღონ ეს კანონი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, მიუხედავად პარტნიორების პროტესტისა, პირდაპირი პროვოკაციაა — რუსეთის დესტაბილიზაციის სტრატეგიაა.“

მერე, რა, თუ ევროპაში ძაღლადაც აღარ ჩააგდეს, სხვა რამეს მოიფიქრებს, სხვა მხარეს გატეხს ხმას-მეთქი და აჰა, მეორე კუდიანი, აშშ-ის ყოფილი ლენჩი-ელჩი კელი დეგნანიც გამოჩნდა — ის ვიღას დაჰკარგვია სალომესა და მისი ბანდის გარდა...

რაღა ესენი და რაღა მეფისნაცვალი ან ცკ-ის მდივანი, თუმცა, ისინი საკეთილო საქმეებს მაინც აკეთებდნენ საკუთარი იმპერიის ფარგლებში... თავდაცვის მომენტი ცალკე საკითხია კიდევ, რის თქმასაც ასე უფრთხის ყველა — ახლა, საქართველო ყველა მეზობლის თავდასხმის საფრთხის ქვეშ არის და თუ ჯერ არავინ გვესხმის, ისევ ის ოკუპანტი რუსეთია შემაკავებელი, ვერ უბედავენ ტორდადებულ საქართველოზე შეცილებას, თორემ გატრუნულ მეზობლებს ირანიც ერთვის და თვით აშშ-ის შიდა დესანტიც, მაშინ კი, თვით აშშ-ის თავდასხმისაც არ გვეშინოდა...

„სალომე მოტოვებული!“ — ქალი თავის ნაცბოზბანდიანად მოატოვეს, არადა, რაც მან მათ სამებლად და საქართველოსთვის საავკაცოდ „იღვაწა“ — ასე შეიძლებოდა? რა მოწყვეტით დაადეს კაკალგულზე გულგრილად...

ცხონებულმა ოტია იოსელიანმა თქვა, ლაპარაკის სწავლას ორი წელი სჭირდება, იმას კი, სად და რა ილაპარაკო, მთელი ცხოვრებაო, — ამ კაშმარ-უტკას რა ცოდვამ უწია, რომ ფეხზე უკვე ცხვარმობმულს ჯერ ლაპარაკიც ვერ უსწავლია, არათუ ის, სად და რა უნდა თქვას?

ერთ დღეს ერვანდამ მკითხა, აბა, თუ იცი, აზერბაიჯანულად ზვიგენს რა ჰქვიაო? გაოცებულმა მხრები ავიჩეჩე. „კაშმარ-კამბალა!“ — მიპასუხა სერიოზული სახით. ჰოდა, ეს ქალი, „კოჭლი იხვი“ კი არა, კაშმარ-უტკა მოტოვებაშვილია, ჩემმა მზემ!

მე ვიყო მანჯურიისა და კუალა-ლუმპურის შპიონი ერთდროულად, თუ უკვე არ მეცოდებოდეს — ქალმა ევროსაბჭოში მოწოდება გასტყორცნა, არიქათო და იქ ყურსმიღმა გაუტარეს, საქართველოს საკითხი სხდომის დღის წესრიგში არ შეიტანეს კი არა, სრული იგნორირება იყო, რაც საყველპურო ენაზე ასე ითქმის: მიდი, რა, მადამ, გაიარეო!

ფრანგულად როგორ იქნებოდა „მიდი, რა, მადამ გაიარე“, არ ვიცი, მაგრამ ოკუპანტის ენაზე, რაც ბარბარიზმის სახით ქალაქურ ჟარგონად დამკვიდრდა, მთლად ძვირფასი ჟღერადობა აქვს. იმდენი იძახეს „რუსსკი კარაბლ იდი ნა***უიო“, რომ მისკენ ბოლოს თვითონ გაემგზავრნენ სიმაღლისა და თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით დაწყობილები თავიანთ უსქესო „მასოვკასთან“ ერთად...

ზურა ოშხერელი

„არა, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, - თვარა, - კი!..“

ამერიკული დემოკრატია თვალთმაქცობით დაიღალა და გასაბოლებლად ჩამოჯდა...

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N14

„ათასობით ათასი ქართველი ქუჩაში გამოვიდა, რათა საჯაროდ გამოეცხადებინათ ევროპული ამბიციები და უარი ეთქვათ ამ კანონის მიღებაზე. საქართველოს ისტორიული შესაძლებლობა აქვს, ევროკავშირთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გახსნას და ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ ამ პროცესში საქართველოს მხარდაჭერა,“ — ბრიფინგზე თქვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა, მეთიუ მილერმა, რითიც „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესაბებ “ კანონპროექტის ხელახლა დაინიცირებას გამოეხმაურა.

„აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მუშაობს ადეკვატურ პასუხზე იმ ბრალდებებისა და განცხადებებისადმი, რომელიც ვაშინგტონის მისამართით თბილისიდან ისმის“, — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, იან კელიმ „ფორმულასთან“ ინტერვიუში.

ამ ქვეცნობიერად კუკლუქსკლანელებს დამიხედეთ ერთი!

„ბიძია თომას ქოხია“ ამათი სახე!

ვინ ამბობს ამ ფრაზებს და რა უფლებით?

იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთა ქვეყანასაც კაცობრიობის წინაშე აქვს დანაშაული ჩადენილი და დღემდე პასუხი არ უგია?!

1945 წელს ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა ის ფაქტია, რომელსაც შეფასება არ მისცემია და სწორედ სამართლიანობის აღდგენას ითხოვს ისტორია. 150 000-იდან 246 000-მდე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მხოლოდ ამ კოლონიზატორებისთვის არის ასე მისაფუჩეჩელი... მხოლოდ ეს?

1883 წელს აშშ-ის არგენტინაში შეჭრიდან დაწყებული, დღემდე არ დასრულებულა სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით აშშ-ის შეჭრა სხვადასხვა ქვეყნებში — სამხედრო ოპერაციები, ინტერვენციები თუ სხვა ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევა დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით, რასაც თან ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი სდევს.

აშშ ერთმანეთის მიყოლებითა და არაერთგზის შეიჭრა ქვეყნებში: **არგენტინაში, მექსიკაში, პერუში, ფიჯიზე, ჩინეთში, ახალ გრენადაში (კოლუმბია).** განახორციელა **ინდოჩინეთის** საარტილერიო დაბომბვა... **ნიკარაგუას ქალაქი შან ჟან ნორტე** მხოლოდ მხოლოდ იმიტომ გაასწორეს მიწასთან, რომ შური ეძიათ ამერიკელების შეურაცხყოფისთვის. **ვეფხვის კუნძულის** ოკუპირება, შეჭრა **ურუგვაიში, პანამაში** პანამის ყელის ხელში ჩასაგდებად. თავდასხმა **იაპონიის ნავსადგურზე** და შეჭრა **ანგოლაში**. ამერიკის დროშის შეურაცხყოფისთვის სადამსჯელო ექსპედიცია **სიმონოსეკიში** (იაპონია) და სამხედრო ექსპედიცია ვაჭრობის მომგებიანი პირობებისთვის. არაპროვოცირებული თავდასხმა **მექსიკაზე**, სადამსჯელო ექსპედიცია **ჩინეთში**, თავდასხმა **მიდვეის კუნძულებზე**. მრავალგზის შეჭრა **იაპონიაში, ურუგვაისა და კოლუმბიაში**. ჯარების შეყვანა **ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე, შეჭრა მექსიკაში, თავდასხმა სამოას კუნძულებზე**, ჯარების შეყვანა **ეგვიპტეში**, თავდასხმა **კორეაზე**.

1946 წელი — აშშ-ის შურისძიება **იუგოსლავიაზე**.

ჩინეთის დაბომბვა 1946-1949 წლებში.

იტალიის პროამერიკული ძალების დაფინანსება არჩევნების დროს, არჩევნების შედეგების გაყალბება და მასობრივი მკვლელობები პოლიტიკური ნიშნით ცსს-ის მიერ. იგივე ქმედებები და სამხედრო მხარდაჭერა **საფრანგეთში,** რასაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა.

კოსტა-რიკა, ალბანეთი, კორეა (1950-1953 წწ.) — მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია და ასობით ათასი კორეელის დაღუპვა.

ვიეტნამი, ბრიტანული გაიანა, ირანი, გვატემალა — პრეზიდენტმა ბილ კლინტნმა აღიარა, რომ ვაშინგტონი არაერთხელ ჩარეულა გვატემალას შიდა საქმეებში და სამოქალაქო იმში 200 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

1983 წელი — **გრენადა**. იმ მოტივით, რომ თითქოსდა კუნძულზე 1200 კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა, აშშ-მა გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო და ასობით ადამიანი იმსხვერპლა. მალევე გაირკვა, რომ კუნძულზე კუბელთა საერთო რაოდენობა 200 კაციც არ იყო და მათგან მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო.

1983 წელი — ანგოლა.

1984 წელი — ნიკარაგუა. როდესაც კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ტერორისტებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაასაიდუმლოა დაფინანსება და ეხმარებოდა ნიკარაგუას ანტისამთავრობო ძალებს. ნიკარაგუელები სწორედ მაშინ დაადგნენ თავზე ამერიკელებს, როდესაც ისინი ტიპიურ ტერორისტულ საქმიანობას აწამებდნენ, ნაღმავდნენ სამ ყურეს. როდესაც აშშ ამხილეს, შემთხვევა განიხილა საერთაშორისო სასამართლომ და აშშ-ს 18 მლრდ დოლარის გადახდა დააკისრა.

1985 წელი — ჩადი და ჰონდურასი.

ჩადიში აშშ-ის მხარდაჭერილ პრეზიდენტ ჰაბრეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს. რეჟიმის სწავლებას და დაფინანსებას აშშ უზრუნველყოფდა.

ჰონდურასში აშშ ნიკარაგუელების დახმარებით აგზავნიდა სამხედრო მრჩევლებსა და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით.

1986 წელი — ლიბია. აშშ-მა დაბომბა ტრიპოლი და ბენღაზი, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

1986 წელი — კოლუმბია. „ნარკოტიკების წინაარმდეგ საბრძოლველად“ დევიზის ქვეშ აშშ რეალურად მხარს უჭერდა პროამერიკულ რეჟიმს. აშშ-მა კოლუმბიას მასობრივად გადასცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლიმბიის მთავრობამ ერთგულება დაუმტკიცა „სოციალური წმენდით“. „წმენდისას“ არაადამიანურად აწამებდნენ დაკავებულებს. „წმენდის“ ნახევრწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც აშშ-მა გამოაცხადა, რომ ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და ის არ არღვევს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს“ 1988-1992 წლებში პოლიტიკური მოტივით მოკლეს 9500 ადამიანი. მათ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი და 830 დაკარგულად მიჩნეული პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რიცხვი 2000-მდე გაიზარდა.

1987-1988 წლები — აშშ ერაყს ირანთან ომში არა მხოლოდ იარაღით დაეხმარა, არამედ დაბომბვებითაც და მიაწოდა მასობრივი განადგურების იარაღი მომწავლელი გაზის ჩათვლით, რომლითაც სადამ ჰუსეინმა მოწამლა თურქული სოფლის 6 000 მცხოვრები.

1988 წელი — თურქეთი. ქვეყნის პროამერიკულად განწყობილი მთავრობის სამხედრო მხარდაჭერა უკმაყოფილო ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს, როდესაც ფართოდ გამოიყენებოდა წამება (მათ შორის, ბავშვებზეც) და დახოცეს ათასობით ადამიანი.

იმავე წელს აშშ-ის სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა“ ჩამოაგდო ირანული სამგზავრო თვითმფრინავი, რომლის ბორტზე 57 ბავშვი იყო. უფროსმა ბუშმა განაცხადა: „მე **არასდროს მოვიხდი ბოდიშს ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის...“** მოგვიანებით აშშ-ის მთავრობამ სრულად აღიარა დანაშაული, მაგრამ არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მატერიალური და მორალური ზარალი უნდა აენაზღაურებინა, პირიქით, ირანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დაბომბა.

1989 წელი — პანამა. აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას გამოკეტვა ამერიკულ ციხეში. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტში მათი რიცხვი 560-მდე შემცირდა. გაერო-მ დაგმო ეს ოკუპაცია, აშშ-მა ვეტი დაადო, ხოლო სსრკ არ ჩაერია, უკვე დაწყებული იყო „პერესტროიკა“...

1989 წელი — რუმინეთი. თავდაპირველად აშშ კეთილგანწყობილი იყო ჩაუშესკუსადმი, რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წელს ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ბოიკოტს; მოითხოვდა ნატო-სა და ვარშავის ერთდროულ რეფორმირებას, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც აშკარა გახდა, რომ არ უღალატებდა სოციალიზმის იდეას, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად ჩაერთო მის დამხობასა და მკვლელობაში. ოპერაციის განხორციელება დაევალა ცსს-ის აღმოსავლეთ Eვროპის განყოფილების ხელმძღვანელს მილტონ ბორდენს.

შემდგომ წლებში ბორდენმა აღიარა, რომ „ოპერაცია“ სანქცირებული იყო აშშ-ის მთავრობის მიერ — ჯერ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი დაამუშავეს, დასავლეთის მედიაში ჩენერგილი აგენტების მეშვეობით გაავრცელეს ნეგატიური მასალები დიქტატორზე, რომელთა ლაიტმოტივი იყო ის, რომ ჩაუშესკუ აწამებს ხალხს და ბოლოს, რამდენიმე მსოფლიო ტელეარხით ერთდროულად გადაიცა სიუჟეტი რუმინეთის სპეცსამსახურის, „სეკურატიტეს“ აგენტების მიერ ქალაქ ტიმიშუარეს მცხოვრებთა დახოცვის შესახებ, სადაც უნგრული წარმოშობის ხალხი ცხოვრობდა.

ცსს-ის თანამშრომლებმა მოგვიანებით აღიარეს, რომ ეს იყო კარგად გაკეთებული მონტაჟი — ყველა ბუნებრივი სიკვდილით იყო გარდაცვლილი, გვამები ადგილობრივი მორგებიდან მიიტანეს ტელეგადაღების ადგილზე.

ჩაუშესკუსა და მისი ცოლის დახვრეტა წარმოდგენილი იყო, როგორც რუმინელი ხალხის ნება, რეალურად, ეს იყო აშშ-ის მორიგი ოპერაცია.

(გაგრძელება იქნება)

ახლა უკან დახევა გამორიცხულია, ეს ამომრჩევლის წინაშე ღალატის ტოლფასი იქნება

ნომრის სტუმარია ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის დირიჟორი და პედაგოგი-კონცერტმაისტერი, პარტია „ხალხის ძალის“ ახალი წევრი გიორგი რევიშვილი.

- ზოგადად, აპოლიტიკური ადამიანი ვიყავი, მაგრამ 2012 წლის შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, „ქართულ ოცნების“ მხარდამჭერი ვარ. იმდენად შემზარავი იყო ნაციონალური რეჟიმი, კიდევ რომ გაგრძელებულიყო, კატასტროფამდე მიიყვანდა ქვეყანას. როგორც მორწმუნე ადამიანს, მათი დამოკიდებულება ვერ ამიტანია ჩვენი სარწმუნოების და ქართული ეკლესიის მიმართ. ეს არის მიუღებელი ჩემთვის, პირველ რიგში, და ამან გამიჩინა სურვილი, მხარი დამჭირა „ქართული ოცნებისთვის“. შემდეგ უკვე, როდესაც პარტია „ხალხის ძალის“ წესდებას და იდეოლოგიას გავეცანი, ბევრი საერთო ნიშა აღმოვაჩინე ჩემსა და მათ შორის. რის გამოც, გამიჩნდა სურვილი, მათი პარტიის წევრი ვყოფილიყავი.

- უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით დაპირისპირება გრძელდება. რა გზას ხედავთ იმისათვის, რომ საზოგადოებაში პროტესტი კიდევ უფრო არ გაღრმავდეს?

- ახლა უკან დახევა გამორიცხულია, რადგან ეს იქნება ღალატის ტოლფასი საკუთარი ამომრჩევლის წინაშე. ეს იქნება აღიარება იმისა, რომ რუსთაველზე შეკრებილი ნეოფაშისტურ-ტროცკისტული იდეოლოგიით გამსჭვალული ადამიანები არიან მართალი და რასაც აპროტესტებენ, ეს არის სიმართლე. ეს კანონპროექტი უნდა გავიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი, დიდი ალბათობით, მას ვეტოს დაადებს. მმართველი გუნდი აუცილებლად დაძლევს ამ ვეტოს. ეს კანონი სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენთვის, რათა ბოროტად აღარ ჩაერიოს მესამე ძალა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში: ეს იქნება ევროპა, ამერიკა თუ რუსეთი... რაც დღემდე გრძელდება. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს კავკასიის რეგიონში.

- დესტრუქციული ძალები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანაში არეულობა გამოიწვიონ და თუკი ვინმეს ჯერ კიდევ გულუბრყვილოდ სჯერა მათი სიმართლის, ცდილობენ, ეს ადამიანებიც სათავისოდ გამოიყენონ. მათი სამიზნე, პირველ რიგში, ყველაზე ემოციური რგოლი, ახალგაზრდობაა, რომელთა ნაწილსაც სჯერა, რომ რუსთაველზე ნამდვილად ქვეყნის გადასარჩენად დგას...

- თუ რამე გადაცდომას ექნება ადგილი, ამას სახელმწიფოს მხრიდან უმკაცრესი პასუხი უნდა გაეცეს. დარწმუნებული ვარ, მთავრობა მოწოდების სიმაღლეზე იქნება ამ შემთხვევაშიც. თუ საჭიროა, მე პირველი ვიქნები, ვინც გარეთ გამოვა. უნდა დაინახონ ჩვენმა მტრებმაც და მოკეთეებმაც, ევროპარლამენტარებმა, რომ ამ კანონს ქართველი მოსახლეობის მხრიდან სერიოზული მხარდაჭერა აქვს. სახელმწიფო გადატრიალებას ეგენი ვერ მოახდენენ. სულ რამდენიმე თვეში საპარლამენტო არჩევნებია და თუ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვთ, დაელოდონ არჩევნებს. არჩევნებზე მოსინჯონ თავიანთი ძალები და კონსტიტუციურად, ლეგიტიმურად მოიპოვონ უპირატესობა, თუკი მათ ეს შეუძლიათ.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, რომლებსაც დესტრუქციული ძალები ფარად იყენებენ, ისინი ჯერ ვერ აცნობიერებენ, ვის უკრავენ ტაშს და ვის გვერდით დგანან. მადლობა ღმერთს, რომ ეს ახალგაზრდების მცირე ნაწილია და მათი უმეტესობა ჯანსაღად აზროვნებს. ესენი არიან ეგრეთ წოდებული ფრანკლინის კლუბის და გარკვეული თვითმმართველობების მიერ მართული ახალგაზრდები, რომლებიც დღემდე ლომაია-გვარამიას მავნებლური იდეოლოგიით იკვებებიან. სწორედ ეს მოიტანა განათლების იმ რეჟიმმა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა დათესა თავის დროზე. ამ პროცესების შედეგებს ვიმკით ახლა ჩვენ, მაგრამ ეს აუცილებლად გადაივლის! ეს არ არის ჩვენი ახალგაზრდობის სახე, რასაც ჩვენ ახლა ამ მიტინგებზე ვუყურებთ - ეს არის უდიდესი სირცხვილი! როგორ შეიძლება, გვერდით დაუდგე ხაბეიშვილს, გვარამიას, მელიას თუ ჯაფარიძეს?! მაგრამ ამ ახალგაზრდებს აქვთ ძალიან მწირი ინფორმაცია სააკაშვილის რეჟიმის პერიოდზე: რა გააკეთა მან 2004 წელს, 2006 წელს, 2007 წელს... არაფერი იციან. ახლა რომ ამ დაშლას „დარბევა“ დაარქვეს, დარბევა არ იციან მაგათ, რას ნიშნავს! ასეთ „დარბევას“ მოანატრებდა სააკაშვილი, დღეს რომ ხელისუფლებაში ყოფილიყო, რომელიც ცოცხლად ატყავებდა ადამიანებს და გვამებს სახურავებზე ყრიდა... დაიწყეს „არა რუსულ კანონს“, გააგრძელეს „არა რუსულ მთავრობას“

და ახლა უკვე ილიას გადაწვდნენ, მისი იდეოლოგია შეცვალეს... ამაზე მეტი უტიფრობა, ამაზე მეტი სირცხვილი და შუბლის ძარღვის გაწყვეტა რა შეიძლება იყოს?!

- მმართველი გუნდის გადაწყვეტილებას გარკვეული ძალები დასავლეთიდანაც ეწინააღმდეგებიან, რაც სახარბიელო ნამდვილად არ არის ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის...

- თვითონ ევროკავშირის ქვეყნებს გაცილებით მკაცრი კანონები აქვთ მიღებული და რა არის ჩვენს კანონპროექტში ასეთი მიუღებელი, რატომ უფრთხიან მას და ეწინააღმდეგებიან პრინციპულად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, ეს არის დასაფიქრებელი! თუმცა, გამუდმებით იცვლება სიტუაცია პოლიტიკაში, ეს ევროპარლამენტარები, რომლებიც ოკეანის გადაღმიდან ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში თავიანთი წესების დამკვიდრებას, დღეს არიან და ხვალ შეიძლება აღარ იყვნენ. ამიტომ საპროტესტოდ შეკრებილმა ადამიანებმა ცოტა წინ რომ გაიხედონ და მხოლოდ ამ წუთისმიერი პროცესებით არ იხელმძღვანელონ, კარგი იქნება. აბსოლუტურად ვეთანხმები ჩვენი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის გამოსვლას, როდესაც მან პრესკონფერენციაზე პირდაპირ მოუწოდა დაინტერესებულ პირებს, ქართველ

თუ ევროპელ რადიკალებს, რომ გამოვიდნენ, დასხდნენ პირდაპირ ეთერში, გაიმართოს დებატები და ახსნან, თუ კონკრეტულად რა არის ამ კანონში „რუსული“, დაასაბუთონ, რას ეწინააღმდეგებიან, კონკრეტულად რომელი მუხლი არ მოსწონთ?! პუნქტობრივად უნდა განიხილონ კანონპროექტი მეორე მოსმენაზეც, მაგრამ არ მგონია, რომ ჩვენმა ოპოზიციამ ამჯერად მაინც შეძლოს და მმართველ გუნდს ღირსეული ოპონირება გაუწიოს. პრინციპულ წინააღმდეგობას, უარგუმენტო მსჯელობის გარეშე, როგორ შეიძლება სერიოზულად შევხედოთ?

ყველაფერს პასუხი გაეცემა. მადლობა ღმერთს, ეკლესია ძლიერია ჩვენს ქვეყანაში. ერთი დაძახებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან და იმდენი ხალხი დადგება ქვეყანაში, მაგათ რომ არც დაესიზმრებათ. მე ვფიქრობ, დროა, რომ ქართველი ხალხის ერთსულოვნება და ძალა, როგორც ჩვენს რადიკალებს, ასევე ევროპარლამენტარებს დავანახოთ. დაე, გაიგოს ყველამ, რომ საქართველო არის მხოლოდ და მხოლოდ პროეროვნული, პროქრისტიანული და პროქართული სუვერენული სახელმწიფო.

- როცა რადიკალები კატეგორიულად აცხადებენ, რომ არ აინტერესებთ კანონპროეტი, არ უნდათ მისი წაკითხვა და გაგება, ასეთ შემთხვევაში, კონსტრუქციული დიალოგი მათთან წარმოუდგენლად მეჩვენება.

- რაც ახლა ხდება სოციალურ ქსელებში და რუსთაველზე, ეს არის ნეოფაშისტური იდეოლოგიის დემონსტრირება. წარმოდგენაც არ მინდა, რა მოხდება, ეგენი რომ ოდესმე დაბრუნდნენ ქვეყნის სათავეში. ხომ ხედავთ, როგორ ექცევიან „იმედის“ ჟურნალისტებს? ამაზე ჯერჯერობით, პირში წყალს იგუბებს და ხმას არ იღებს დიპლომატიური კორპუსი, მაგრამ, რასაც ისინი სჩადიან, ეს არის სისხლის სამართლის დარღვევა. 2006-2007 წლებიდან რომ დაიწყო, „იმედზე“ შეტევა დღემდე გრძელდება. თავისუფლების ლოზუნგით მოქმედ დესტრუქციულ ძალებს დიამეტრულად განსხვავებული წარმოდგენები აქვთ თავისუფლებასა და ლიბერალიზმზე. მათი „ლიბერალიზმი“ სრულიად აცდენილია ილიასეულ ლიბერალიზმს და, განსაკუთრებით, ქრისტიანულ ლიბერალიზმს. მათი „ლიბერალიზმი“ არის ფაშისტურ-ტროცკისტული იდეოლოგიის. მათ წარმოდგენაში ლიბერალიზმი ყოველგვარი ეროვნულისგან, ყოველგვარი ტრადიციულისგან და ყოველგვარი ფასეულობისგან არის დაცლილი. თავად ილია ამბობდა, რომ ლიბერალიზმი არის „გადასაგდები“, თუკი ის ჩვენს კულტურას და ისტორიას ეწინააღმდეგება. როდესაც გამოდიან „ილიაუნის“ სტუდენტები და გვმოძღვრავენ ამ საკითხზე, ვისი სახელობის უნივერსიტეტშიც სწავლობენ, იმას მაინც სცენ პატივი და წაიკითხონ, გაეცნონ, რეალურად რას ამბობდა ეს ადამიანი... თუმცა, მათ უმეტესობა ისეთი ლექტორი ჰყავთ, რომლებიც მხოლოდ ამ ბავშვების „ტვინის გამორეცხვაზე“ მუშაობენ და შედეგიც სახეზეა...

- ამ ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

- გამოსავალს არ ვხედავ კანონის უკან გაწვევაში, არ ვხედავ მთავრობის გადადგომაში, არ ვხედავ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში! გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ კანონპროექტი უნდა გავიდეს ბოლომდე, დაიძლიოს ვეტო და დაველოდოთ ჩვენი მეზობლებისა და დასავლელი პარტნიორებისგან გარკვეულ ცვლილებებს, გააზრებულ შეფასებებს. გამოსავალს ვხედავ ისეთივე მტკიცე ნაბიჯების გაგრძელებაში, როგორც აქამდე მოქმედებს ჩვენი ხელისუფლება. მოთმინებით უნდა მივცეთ დრო და კიდევ უნდა ვეცადოთ, უნდა მოვითხოვოთ, განმარტონ ადამიანურ ენაზე, თუ კონკრეტულად რას აპროტესტებენ ეს რადიკალები! თუმცა, არ უნდათ არაფრის გაგება და სწორედ ეს არის სექტანტური და ფანატიკური აზროვნება, როცა ლიბრი გაქვს გადაკრული თვალსა და ტვინზე.

ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ მიუხედავად ამ ურთულესი პერიოდისა, ამ ძნელბედობისა, აუცილებლად დალაგდება სიტუაცია, რადგან გვყავს გონიერი ხელისუფლება. არ გვყავს ისეთივე, ემოციებს აყოლილი მთავრობა, რომელის მეთაურიც უკვე ორი წელია, „სანატორიუმში“ კოტრიალობს. „ეშმაკი“, ფაქტობრივად, განადგურებულია, მხოლოდ კუდს აფართხალებს და ამ კუდის ფართხალსაც მოევლება, აუცილებლად.

ნონა ქარქაშაძე

„დე, რაცხას გეტყვი და არ გამიბრაზდე, გეხვეწები... ან აი სიკვდილი რაია? ან აი ცხოვრება რაია?!“- მერაბ ჩხეიძის ნოველის მიხედვით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ჟუბიეს ერთი დღე“ ეკრანული პრემიერა 19 აპრილს საქართველოს კინოაკადემიის ლურჯ კინოდარბაზში შედგა. მანამდე კი ფილმი 21 მარტს ტელეკომპანია „იმედზე“ აჩვენეს. რეალურ ისტორიაზე აგებული 11- წუთიანი ფილმი დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდის ცხოვრებას ასახავს, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ სრულიად მარტო რჩება.

„უპრეტენზიო კაცია, რაღაცნაირად, გულისმომწურველად თავმდაბალი, არავის აწუხებს. დადის და ჩოხელის „დარდების შემგროვებელივით“ ნოველებს ხურჯინით დაატარებს - მერე როგორ ნოველებს!.. - ასე ახასიათებენ მწერალს, სცენარისტსა და რეჟისორს, მერაბ ჩხაიძეს, ხელოვნებათმცოდნეები და მეგობრები.

„ჟუბიეს ერთი დღე“ პირველი ფილმია, რომელიც „დარდების შემგროვებელმა“ საკუთარ ნოველის მიხედვით გადაიღო. „მისი პერსონაჟები ცრემლებიდან იღიმებიან და ძალიან ჰგვანან ავტორს. ფილმი უცრემლოდ არავის სტოვებს და იწვევს კათარზისს უკლებლივ ყველა ადამიანში. ეს არის ფილმი, რომელიც მთავარ ფასეულობებზე დაგაფიქრებს და იმედით აღგავსებს, რომ არსებობს უპირობო სიყვარული, გულწრფელობა, სიკეთე, ღმერთი, ღვთისმშობელი, დედაშვილობის საოცარი ფენომენი და ადამიანად დარჩენის გარდაუვალობა, - ამბობენ კინომცოდნეები და ასე ფიქრობს მაყურებელიც.

სცენარის ავტორი, რეჟისორი და მუსიკის ავტორი თავად ბატონი მერაბ ჩხაიძეა. ფილმი ოზურგეთშია გადაღებული. ჟუბიეს როლს კი ასევე ოზურგეთელი ირაკლი დოლიძე ასრულებს, რომელმაც არაჩვეულებრივი ოსტატობით, დახვეწილი ბუნებრიობით და დამახასიათებელი გურული კილოკავით გადმოგვცა ჟუბიეს რეალობა.

მისი პერსონაჟები ცრემლებს მილმა ილიმებიან

ახდენილი ოცნება

იკა დოლიძე: ხელოვნების დიდი მოყვარული ვარ. თუკი რამ სპექტაკლი და ღონისძიება ტარდება ოზურგეთის თეატრში, ყველაფერს ვესწრები. ვმუშაობ თოჯინების თეატრში. ბატონმა მერაბმა ოზუგეთში მიპოვა და ჟუბიეს როლი შემომთავაზა. არ გამჭირვებია. ჩემთვის ეს ბუნებრივად შესასრულებელი როლი იყო, თუმცა, ფილმის გმირს დიდად არ ვგავარ. მე მრავალრიცხოვან ოჯახში ვცხოვრობ და მარტო ყოფნა არასდროს მიწევს. ფილმი ძალიან მოეწონათ და კმაყოფილი ვარ. აქამდეც ყველა მიცნობდა ოზურგეთში, მაგრამ ეს ფილმი დამეხმარა იმაში, რომ საზოგადოების სიყვარული მომეპოვებინა. ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ამიხდა. სიამოვნებით ვითამაშებდი სხვა ფილმებშიც.

ფილმი რეალურ ისტორიაზე

მერაბ ჩხაიძე:

ფილმის სცენარი რეალურ ისტორიაზეა აგებული. ბავშვობაში დედამ მიამბო, რომ გურიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა დაუნის სინდრომის მქონე ახალგაზრდა, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ სრულიად მარტო აღმოჩნდა. ეს ამბავი მკაფიოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში. შემდეგ უკვე, სტუდენტობის დროს, ჩემს მეზობლად იმავე სინდრომის მატარებელი ბავშვი ცხოვრობდა, რომელიც ძალიან მომეკედლა, დამიმეგობრდა... მეც მეტ-ნაკლებად გავერკვიე ამ ადამიანების პრობლემებში, დღითიდღე ვხედავდი საზოგადოებაში მათი ინტეგრირების საჭიროებებს, ვაკვირდებოდი მათ ცხოვრებას, ხედვებს, დამოკიდებულებებს ყველაფრისადმი, ცხოვრებისადმი, თუ რაზე ფიქრობდნენ, რაზე დარდობდნენ, რაზე ოცნებობდნენ ეს მართლა საოცარი ადამიანები. დავრწმუნდი იმაში, რომ საზოგადოების სხვა წევრებისგან ოდნავ განსხვავებული ადამიანების განვითარებასა და შემდგომ ცხოვრებაში უდიდესი როლი მშობელს, კონკრეტულად კი დედას აკისრია. სწორედ ეს არის ფილმის მთავარი ხაზი. მშობელს აქვს უზარმაზარი შრომა ჩადებული იმაში, რომ, როდესაც თვითონ აღარ იქნება, მისმა შვილმა დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრების გაგრძელება. ამ პატარა ნოველაში სწორედ დედის თავდადებული შრომა ჩანს, რომელიც, ფაქტობრივად, გარდაცვალების შემდეგაც შვილის წინამძღვარია და ასწავლის მას, თუ როგორ იცხოვროს. ჟუბიეც მექანიკურად იმეორებს ყველა იმ დავალებას და იმ ქმედებას, რაც დედამ შეასწავლა. თუ მისი დამოკიდებულებას განვიხილავთ ფრინველებთან, წყაროსთან თუ ყვავილებთან, მზის სხივებთან, დავინახავთ, როგორ სტკივა გული მეზობლის მიტოვებული სახლის გამო... მივხვდებით, რომ დედა მას სხვაზე ზრუნვას აჩვევდა. ეს არის სწორი მიდგომა მშობლის მხრიდან. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილისგან ოდნავ განსხვავებული შვილი გყავს, თავად მშობელმა არ უნდა გაუჩინო მას არასრულფასოვნების კომპლექსი, თუმცა, უფროს ადამიანებს ზოგჯერ არასაკმარისი გამოცდილება აქვთ და არც არავინ ასწავლით, როგორ მოიქცნენ.



„ჟუბიე“ და იკა დოლიძე

ზოგადად, გურიას, ისევე, როგორც სამეგრელოს, ცოტა უცნაური სახელები ახასიათებს. მეც მინდოდა, რაღაც მოფერებითი სახელი შემერჩია ჩემი გმირისთვის და „ჟუბიე“ თავისთავად წამოვიდა. რაც შეეხება იკა დოლიძეს, ფილმის გმირის როლის შემსრულებელს, მე მას ხშირად ვხედავდი, როდესაც ოზურგეთში ჩავდიოდი. ირაკლი ერთი შეხედვითაც გამოირჩევა თავისი ზრდილობით, სიკეთით, ტკბილი მისალმებითა და მოკითხვით... შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის ჩემი უმცროსი მეგობრის ბიძა ყოფილა. მასთან ვნახე სახლში, როცა უკვე ნოველა დაწერილი მქონდა. მაშინვე გამიჩნდა იდეა, რომ ამ ნოველაზე ფილმი გადამეღო, სადაც ეს არაჩვეულებრივი ბიჭი ითამაშებდა. მივხვდი, რომ სწორედ იკა იყო ჩემი ჟუბიე და არც შევმცდარვარ. რამდენიმე ახლობელი ადამიანი ფინანსურად დამეხმარა და ფილმი გადავიღე. თავადაც ნახეთ, როგორ შეძლო და რა ბუნებრივად გაითავისა იკამ ეს როლი. ფილმში არის ერთი სცენა, როდესაც ჟუბიე მიდის ფანჯარასთან ხელებგაწვეტილი და მზის სხივებს ესაუბრება. ეს სცენა სრულიად ირაკლის ინტერპრეტაციით გადავიღეთ. მქონდა სხვა ვარიანტებიც, მაგრამ იკას ვარიანტი ყველაზე ბუნებრივად გამოვიდა. ამ სცენამ აჯობა და ამიტომაც მთლიანად დავტოვე. დედის საფლავთანაც ძალიან ბუნებრივად საუბრობდა, ალბათ, იმიტომ, რომ იკა ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელი და გულით და სულით ხელოვანი ადამიანია. ოზურგეთის თეატრში მას აქვს სპეციალურად გამოყოფილი ადგილი და ყველა პრემიერას, ყველა კონცერტს, თითქმის ყველა სპექტაკლს ესწრება. იკა გალობს, ასევე, ტაძარში და მუშაობს თოჯინების თეატრში დამხმარედ, რაც ძალიან კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ამ ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება.

მილიონი სიყვარული

ის, რომ ფილმს უკვე მილიონ ორასი ათასი ნახვა აქვს, ალბათ, იმის ნიშანია, რომ ადამიანებს უბრალოება, სითბო და სიყვარული მოგვნატრებია. არამხოლოდ ადამიანებს, ხელოვნებას აკლია სითბო. სასიხარულოა, რომ ფილმით ახალგაზრდებიც დაინტერესდნენ. ერთ-ერთმა ტიკტოკერმა, რომელმაც თავის გვერდზე დადო „ჟუბიეს ერთი დღე“, მომწერა, რომ მისი მაყურებელები, ძირითადად, 15-30 წლამდე ახალგაზრდები არიან და 210 ათასი ნახვა აქვს ფილმს მხოლოდ მის გვერდზე. რამდენიმე ბავშვი მეც შევნიშნე ფილმის ჩვენებაზე. მშობლებისთვის უკითხავთ, თურმე, ამ ბიჭს დედა მართლა გარდაეცვალაო? ანუ, ბავშვებზეც ემოციურად იმოქმედა. ზოგადად, ახალგაზრდობას აინტერესებს ხელოვნება, მაგრამ ბევრი ვერ ახერხებს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ფინანსების არქონის გამო. სასიხარულოა, რომ არიან ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ, შრომობენ, რაღაცას ქმნიან მხატვრობაში, მწერლობაში, პოეზიაში, კინოხელოვნებაში... რომელთათვისაც ისეთივე ძვირფასია ჩვენი ეროვნული ღირსება და ფასეულობები, როგორც ამას უფროსი თაობები გვასწავლიდნენ. თუმცა, არის მეორე, ეგრეთ წოდებული ლიბერალური მხარეც, რომლებსაც არასწორად გაუგიათ, რა არის ლიბერალიზმი და თავისუფლება. თავისუფალი ქმედება ჰგონიათ თავისუფლება. არადა, თავისუფალი აზროვნება არის თავისუფლება. როდესაც იცი თავისუფლების ფასი, მოსმენა უნდა შეგეძლოს, სხვისი მოსაზრების ანალიზი უნდა შეგეძლოს, არგუმენტირებული პასუხის გაცემა უნდა შეგეძლოს... რადგან რადიკალური აზროვნება არასდროს ყოფილა პროგრესის მატარებელი, რადიკალური აზროვნება იყო ყოველთვის ომისა და კონფლიქტების მიზეზი.

მადლობას ვუხდი შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ფილმზე მუშაობდა. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ნიჭიერი ბიჭი, იკა შეიყვარა. ნაწარმოები კარგია მაშინ, როცა რაღაცას გასწავლოს, ან რაღაცას დაგიტოვებს და, ღვთის წყალობით, მე მგონი, ამ ფილმმა ეს მოახერხა.

ნონა ჟარჟაშაძე

რეგიონში მშვიდობის დამყარება ირანზე და ისრაელზეა დამოკიდებული

BIG ATTACK BY IRAN ON

ახლო აღმოსავლეთი, შესაძლოა, ახალი, მესამე მსოფლიო ომის კერა გახდეს, — შიშობენ დასავლელი ანალიტიკოსები. მსგავსი ვარაუდის საფუძველს რეგიონში არსებული ვითარება აძლევთ. ექვს თვეზე მეტია, ისრაელის არმია შეიარაღებულ პალესტინურ დაჯგუფება „ჰამასს“ ებრძვის. შეგახსენებთ, „ჰამასის“ შეიარაღებული დაჯგუფება ყველასთვის მოულოდნელად, შარშან ოქტომბერში დაესხა თავს ირაელის ქალაქებს, დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა და მძევლად აიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ბრძანება გასცა და ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა დაჯგუფება „ჰამასის“ გასანადგურებლად და მძევლების გათავისუფლებისთვის სამხედრო ოპერაცია დაიწყეს.

მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ დაგმო „ჰამასის“ არაადამიანური ქმედება, მხარი დაუჭირეს და გაამართლეს ისრაელის მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაცია. ღაზას სექტორში დაიბომბა და სრულიად განადგურდა ქალაქები, დაღუპულია ათობით ათასი მშვიდობიანი პალესტინელი, მათ შორის, ბავშვები. სამწუხარო ფაქტია, რომ ისრაელის არმიამ ვერ შეძლო მძევლების გათავისუფლება. უფრო მეტიც, მათ შეტევებს რამდენიმე მათგანი ემსხვერპლა. შეშფოთებული საერთაშორისო ორგანიზაციები დღემდე მოუწოდებენ ისრაელს ცეცხლის შეწყვეტისკენ.

ისრაელის არმიის მხრიდან გადაჭარბებული სისასტიკით შეშფოთებულები არიან მთავარი მოკავშირე ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში. სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ რეგიონში ჩავიდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ახლო აღმოსავლეთს რეგულარულად სტუმრობს. მართალია, აშშ-ის ხელისუფლება ისრაელს აკრიტიკებს სისასტიკისთვის, მაგრამ, ამავდროულად, განაგრძობს მის ფინანსურ და შეიარაღებით დახმარებას.

საინტერესო პოზიცია უკავია ბენიამინ ნეთანიაჰუს, რომელმაც რამდენჯერმე განაცხადა, რომ არავის, მათ შორის, არც მოკავშირე ქვეყნების აზრს, არ გაითვალისწინებს და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტას კი არა, ისრაელის ხელისუფლება ცდილობს, რეგიონში საომარი არეალი გააფართოვოს. აპრილის დასაწყისში სირიის დედაქალაქ დამასკოში ირანის საელჩოზე განხორციელებულ შეტევაზე საპასუხოდ, სპარსელებმა ორი კვირის შემდეგ იერიში მიიტანეს ისრაელზე. ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ უპასუხოდ არ დატოვებდნენ ისრაელზე განხორციელებულ შეტევას. ჯო ბაიდენი მოუწოდებდა, ეს არ გაეკეთებინათ, თუმცა, ნეთანიაჰუ არავის უჯერებს.

გასულ კვირას ირანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ისრაელის არმიამ საჰაერო შეტევა განახორციელა. ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ინფორმაციით, შეტევა შეზღუდული ხასიათის იყო. ამავე ტელეარხის ცნობით, ისრაელის ხელისუფლებამ წინასწარ აცნობა აშშ-ის ადმინისტრაციას მოსალოდნელი შეტევის შესახებ, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლება მხარს არ უჭერდა ისრაელის ირანზე თავდასხმას. სიენენ-ი იუწყება, რომ ირანის ბირთვულ ობიექტებზე შეტევები არ განხორციელებულა და არც ისრაელის ავიაციის სამიზნე ყოფილა. თუმცა, ირანის ოფიციალური პირების განცხადებით, მათი ბირთვული ობიექტები საიმედოდ არის დაცული. უცხოური პრესის ინფორმაციით, თეირანის, ისპაჰანისა და სხვა ქალაქების ცაზე შენიშნეს სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატები. აღნიშნავენ იმ თივე შეფასებით, მოსალოდნელია, რომ განმეორებით შეტევას ირანი განსხვავებული ტაქტიკით განახორციელებს, რაც დიდი ზიანის მომტანი იქნება ისრაელისა და, საერთოდ, რეგიონისთვის.

ვითარება ახლო აღმოსავლეთში ყოველდღიურად მწვავდება. განვლილ შაბათ-კვირას სირიაში არსებული აშშ-ის სამხედრო ბაზაზე უპილოტო საფრენი აპარატებითა და რაკეტებით განხორციელდა შეტევა. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტოებს ანონიმმა სამხედრო მოსამსახურემ აცნობა. თუმცა, თავდამსხმელები ინფორმატორმა ვერ დაასახელა. თითქმის იმადვროულად, ერაყში შიიტურმა გარემოებასაც, რომ ირანის საჰაერო თავდაცვამ საკმაოდ ეფექტურად იმუშავა.

ირანზე შეტევიდან რამდენიმე დღეში ერაყის დედაქალაქ ბაღდადის სიახლოვეს მდებარე სამხედრო ბაზა დაიბომბა. თავდაპირველად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომხდარში აშშ დაადანაშაულა, მაგრამ პენტაგონში კატეგორიულად უარყვეს თავდასხმაში მონაწილეობა და ხელი ისრაელისკენ გაიშვირეს. აღსანიშნავია, რომ დასავლელი სამხედრო ექსპერტ-ანალიტიკოსები, ფაქტობრივად, მკითხაობენ, რატომ განახორციელა ირანმა მსგავსი „მოკრძალებული“ შეტევა. ვარაუდობენ, რომ ირანმა ჯერ მხოლოდ შეამოწმა ისრაელის საჰაერო თავდაცვის მზადყოფნა, მოსინჯა არსებული სუსტი წერტილები. მაგრამ, შესაძლოა, ახალი, მესამე მსოფლიო ომის კერა გახდეს, — შიშობენ დასავლელი ანალიტიკოსები. მსგავსი ვარაუდის საფუძველს რეგიონში არსებული ვითარება აძლევთ. ექვს თვეზე მეტია, ისრაელის არმია შეიარაღებულ პალესტინურ დაჯგუფება „ჰამასს“ ებრძვის. შეგახსენებთ, „ჰამასის“ შეიარაღებული დაჯგუფება ყველასთვის მოულოდნელად, შარშან ოქტომბერში დაესხა თავს ირაელის ქალაქებს, დახოცა მშვიდობიანი მოსახლეობა და მძევლად აიყვანა მშვიდობიანი მოსახლეობა. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ბრძანება გასცა და ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა დაჯგუფება „ჰამასის“ გასანადგურებლად და მძევლების გათავისუფლებისთვის სამხედრო ოპერაცია დაიწყეს.

ირან-ისრაელის დაპირისპირებას შორეულ ჩინეთშიც ყურადღებით აკვირდებიან. იქაური ექსპერტების შეფასებით, ნატო-ს ჩართვა ორ ქვეყანას შორის არსებულ კონფლიქტში ნაკლებად სავარაუდოა. რეგიონში სიტუაციის გამოსწორება ისრაელსა და ირანზეა დამოკიდებული. თუ ორივე ქვეყანა თავშეკავებას გამოავლენს, რეგიონში მშვიდობის დამყარება შესაძლებელი გახდება.

როგორც იქნა, დასრულდა ჭიდილი აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში უკრაინისთვის დახმარების გადაცემაზე. განვლილ შაბათს წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა უკრაინისთვის 61 მლრდ დახმარების პაკეტი. მართალია, რესპუბლიკური პარტიის წევრების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო, მაგრამ კონგრესის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა (რესპუბლიკელმა) დემოკრატების მხარე დაიკავა.

კონგრესში მიღებულ გადაწყვეტილებას ახლა უკვე სენატში გადააგზავნიან. დიდი ალბათობით, სენატი უპრობლემოდ დაამტკიცებს კანონპროექტს და ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაუგზავნიან. შეგახსენებთ, სენატში უმრავლესობაში დემოკრატები არიან, ამიტომ არ გაუჭირდებათ კანონპროექტის დამტკიცება.

კონგრესის გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდა პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და სენატს მოუწოდა, მალე დაამტკიცონ კანონპროექტი, რათა სასწრაფოდ მოაწეროს ხელი და დროულად დაიწყონ უკრაინისთვის შეიარაღების მიწოდება.

პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, გენერალმა პატრიკ რაიდერმა გამოცემა „ნიუიორკ თაიმსს“ განუცხადა: „...კანონის დამტკიცების შემდეგ უმოკლეს დროში გადავიტანთ გერმანიაში და პოლონეთში არსებული ჩვენი სამხედრო საწყობებიდან შეიარაღებას უკრაინაში, რადგან საიმედო ლოჯისტიკა გვაქვს“.

კონგრესის მიერ გადაწყვეტილებას მიღებამდე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უილიამ ბერნსი აცხადებდა, რომ დახმარების გარეშე უკრაინა 2024 წელს დამარცხდებოდა. ნატო-ს გენერალური მდივანმა იენს სტოლტენბერგმა კონგრესის გადაწყვეტილების შემდეგ თქვა, რომ დახმარება ჯერ არ ყოფილა დაგვიანებული, მაგრამ დაყოვნებას ნეგატიური შედეგიც ჰქონია. დახმარების პაკეტის მიღებამ, შესაძლოა, სპიკერის თანამდებობა შეიწიროს. რესპუბლიკურ პარტიაში ჯონსონის გადაყენებაზე უკვე ღიად დაიწყეს საუბარი.

იძაბება ურთიერთობა აშშ-ჩინეთს შორის. გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ღიად დაემუქრა ჩინელებს, თუ ისინი რუსეთთან თანამშრომლობას და მათ დახმარებას განაგრძობენ, სანქციებს დაუწესებენ. ამაზე ჩინელებმა უპასუხეს, რომ არ აპირებენ რომელიმე ქვეყანასთან ცივ ან ცხელ ომს, მაგრამ ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევას არ დაუშვებენ.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარება მარტივი სულაც არ არის, რა იქნება მომავალში, უცნობია.

გია ბურდული

რა უნდა ვიცოდეთ კონკურენციის სააგენტოს შესახებ და რა უფლებები აქვთ ქართველ მეწარმეებს

მეწარმეობა ის სფეროა, რომელზეც ქვეყნის ეკონომიკა დგას. როცა ბიზნესი სწორად ვითარდება, პრობლემაც არ არსებობს, მაგრამ ბოლო ხანს ბაზარზე ზოგიერთი ბიზნესმენის არაკეთილსინდისიერების გამო სახელმწიფო იძულებული გახდა, 2014 წელს კიდევ ერთი მარეგულირებელი შეექმნა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაფუძნდა „კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“, რომელსაც დღემდე ირაკლი ლექვინაძე ხელმძღვანელობს.

სააგენტოს ძირითადი ამოცანა ბაზარზე ბიზნესის დომინანტური მდგომარეობის აღმოფხვრაა, რაც ადგილობრივი წარმოების დემპინგური იმპორტისაგან დაცვას გულისხმობს.

რა არის დემპინგი

ეს არის შემთხვევა, როდესაც რომელიმე იმპორტიორი შემოტანილ პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე სისტემატურად **იმაზე უფრო დაბალ ფასად ყიდის, ვიდრე ქართველი მეწარმე პირად ნაწარმს. ასეთი ფაქტების შემთხვევაში, ქართველ მეწარმეებს უფლება აქვთ, კონკურენციის სააგენტოს მიმართონ და თავიანთი უფლების დაცვა მოითხოვონ.**

კანონის თანახმად, კონკურენციის სააგენტო განაცხადს, ფასწარმოქმნის, ვაჭრობის ტენდენციებს შეისწავლის და ამის შესაბამისად იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. **ამ ურთიერთობებს კი** სპეციალური კანონი **„ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“** აწესრიგებს, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისაგან **იცავს ქართველ მეწარმეებს.**

ძირითადი სანქცია, რაც შეიძლება კონკურენციის სააგენტომ დააწესოს, არის **"ანტიდემპინგური ტარიფი"**, რომლის გადახდაც იმპორტიორ ბიზნეს ოპერატორს უწევს და მისი ოდენობა **"მიყენებული ზიანის" მოცულობიდან გამოიანგარიშება.**

დადგენილების თანახმად: **"სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი წარმოადგენს წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ წილს, რომელიც გამოითვლება შესწავლის ობიექტის საბაჟო ღირებულებიდან. სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფის შემოღება ხდება არა უმეტეს 5 წლით. ეს ვადა აითვლება სპეციალური ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების დღიდან. ანტიდემპინგური ტარიფი დგინდება თითოეული ექსპორტიორისთვის ინდივიდუალურად, ინდივიდუალური დემპინგური ზღვარის გათვალისწინებით.** ფაქტობრივად, ეს არის დაცვის ის მექანიზმი, რომელიც ქართულ ბაზარზე უცხოელ იმპორტიორთა დომინანტური მდგომარეობისგან დაგვიცავს და ადგილობრივ მეწარმეს ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებაში.

როგორ ხდება დემპინგის შესახებ განაცხადის განხილვა კონკურენციის სააგენტოში

"საკითხის შესწავლა კონკურენციის სააგენტოში ხორციელდება ადგილობრივი ინდუსტრიის ან მისი სახელით გაკეთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე - **იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მოცემული პროდუქტის საექსპორტო ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში ექსპორტიორი ქვეყნის ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალია და ის ზიანს აყენებს ან წარმოადგენს ზიანის საფრთხეს ადგილობრივი ინდუსტრიებისთვის, სააგენტო უფლებამოსილია, პრეტენზია განიხილოს და საქმის წარმოება დაიწყოს.**

შემსწავლელი ორგანო განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს აცნობებს ამის შესახებ და განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. სააგენტო შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენის დღიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში, რაც შეიძლება გახანგრძლივდეს, მაქსიმუმ, 15 დღით.

შესწავლის პროცესში სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია - ადმინისტრაციული ორგანოებისგან, დაინტერესებული და სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისგან, მათ შორის - კონფიდენციალური. გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიწოდება სავალდებულოა. შესწავლისთვის საჭირო მტკიცებულებები უნდა შეესაბამებოდეს შესწავლის დაწყებამდე არანაკლებ 6-თვიან პერიოდს, ხოლო ზიანის შესახებ მსჯელობისთვის საჭირო მტკიცებულებები შესწავლის დაწყებამდე, სულ მცირე, 3-წლიან პერიოდს. კანონით დადგენილი წესის თანახმად, სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის პერიოდი გაგრძელდება, არაუმეტეს, 12 თვისა. ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს, მაქსიმუმ, 6 თვით. წინასწარი დასკვნა - შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, თუკი შესწავლის ორგანომ დაადგინა, რომ დემპინგურმა იმპორტმა ადგილობრივ ინდუსტრიას ზიანი მიაყენა, ან შექმნა მისთვის ზიანის მიყენების საფრთხე. ექსპორტიორმა წერილობითი ფორმით უნდა აიღოს ნებაყოფლობითი ვალდებულება, რომ გადახედოს შესწავლის ობიექტის დადგენილ ფასს ან შეწყვიტოს შესწავლის ობიექტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგური ფასით ექსპორტირება, რაც უფრო კონკრეტულად ნიშნავს იმას, რომ ურჩი იმპორტიორი დაჯარიმდება, დაისჯება, რაც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას განეკუთვნება.

P.S. კონკურენციის სააგენტოს ცნობით, დომინანტური მდგომარეობისა და დემპინგის არამართებულად გამოყენების გამო არაერთი კომპანია დაისაჯა.

„საერთო გაზეთი“ დემპინგის თემას კიდევ დაუბრუნდება და მკითხველს დროდადრო შესთავაზებს საინტერესო სიახლეებს ბიზნეს სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ლევან ჭიღლაძე

იურიდიული რჩევები

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- ბანკში წლების წინ შევიტანე ფულადი თანხა. გავხსენი ანაბარი. წლებია, არ მიმიღია არავითარი დივიდენდი. გასულია ათ წელზე მეტი. მაქვს თუ არა უფლება, მივმართო სასამართლოს და არის თუ არა ჩემი სარჩელი ხანდაზმული?

- მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანხმად, მეანაბრეთა სარჩელებს არ აქვთ ხანდაზმულობის ვადები არ აქვს. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

●

- საზღვარგარეთ გარდამეცვალა ნათესავი, რომელიც იყო გამომგონებელი. არ ჰყავს შვილები. როგორც ამიხსნეს, მე ვითვლები მის ერთ-ერთ მემკვიდრედ. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო მემკვიდრეობა საზღვარგარეთ და ვის უნდა მივმართო?

- თუ საქართველოს მოქალაქე საზღვარგარეთ გარდაიცვალა, საკუთრება ჩვენს ქვეყანაში აქვს რეგისტრირებული, ამასთან, სხვა მემკვიდრეც არ არსებობს, შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივ ნოტარიუსს და მოითხოვოთ მემკვიდრეობის მიღება ნებისმიერ ქონებაზე. მათ შორის ყველა უფლებაზე, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნია საზღვარგარეთ და მემკვიდრეობას საქართველოს საელჩოს დახმარებით მიიღებთ.

●

- მაქვს მიწის ნაკვეთი, სამშენებლო კომპანია მთხოვს გარიგების დადებას კორპუსის მშენებლობისათვის. მთავაზობს, რომ შეადგენს ხელშეკრულებას, რომელზეც ხელი უნდა მოვაწერო. რომელი სპეციალიზაციის იურისტთან უნდა გავიარო კონსულტაცია?

- სამშენებლო საკითხების ცოდნა განეკუთვნება სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას, რომელიც დაკავშირებულია სანივთო უფლებებთანაც. ამიტომ გირჩევთ, კონსულტაცია გაიაროთ სამოქალაქო საქმის იურისტთან, რომელსაც აღნიშნულ სფეროში კარგი გამოცდილება ექნება.

●

- ორი წლის წინ გავაჩუქე ქონება. მინდა მისი უკან დაბრუნება, რადგან დასაჩუქრებული დიდ უმადურობას იჩენს ჩემ მიმართ. როგორ მოვიქცე?

- ასეთ შემთხვევაში თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს და გაქვთ უფლება, მოითხოვოთ ქონების უკან დაბრუნება უმადურობის მოტივით. მთავარია, სასამართლოს წარუდგინოთ უტყუარი მტკიცებულებები (მოწმეთა ჩვენებები, სატელეფონო ესემეს შეტყობინებები და ა. შ.), რაში გამოიხატებოდა დასაჩუქრებულის მხრიდან უმადურობა.

●

- მაქვს თუ არა ვალდებულება, შევატყობინო ადვოკატს იმის შესახებ, რომ შევუწყვიტე მინდობილობა, რადგან მისი მომსახურებით არ ვარ კმაყოფილი?

- დიახ, ამის ვალდებულება კანონით გაგაჩნიათ. ასევე, ადვოკატს უნდა აცნობოთ იმის მიზეზები, თუ რატომ გაქვთ მის მიმართ პრეტენზია.

●

- ხელშეკრულება დავდე ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელსაც შევუსრულე სხვადასხვა სამუშაო. კომპანიამ მოულოდნელად შემიწყვიტა ხელშეკრულება და არც დარჩენილი თანხა გადამიხადა, მხოლოდ წერილობით შემატყობინა ამის შესახებ. მაქვს თუ არა უფლება, სრულად მოვითხოვო შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება?

- მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, ვადაზე ადრე რატომ შეგიწყვიტათ დამკვეთმა ხელშეკრულება, რა იყო მიზეზი და თუ ასახა ამის შესახებ თავის საპრეტენზიო წერილში. მეორე, თუ ასეთი პრეტენზია არ არსებობს, მაშინ თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ კომპანიისგან დარჩენილი თანხის დაკისრება. ხელშეკრულების შეწყვეტის მიუხედავად, კანონით თქვენ ამის უფლება გაქვთ.

ტელ: 555 75-04-45

გრიბოედოვის თეატრის სცენაზე სიყვარულის, მეგობრობისა და ნიჭიერების ცეცხლი დაინთო

პროექტი „საქართველო დამაქვს გულით“ ემსახურება ქართულ-აფხაზურ-ლაზური კულტურის პოპულარიზაციას, ხალხთა შორის მეგობრობას სახალხო დიპლომატიის გზით და საქართველო-თურქეთს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.

სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდნენ თურქეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი და მისი სამი ქალიშვილი ბენდთან ერთად. მიმდინარე წლის 20 აპრილს ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართეს ბაიარ შაჰინის და ანსამბლის „სამიდა“ გრანდიოზული კონცერტი.

ანსამბლი „სამიდა“ 2016 წელს გამოჩენილი ხელოვანის და მუსიკოსის, ბაიარ შაჰინის ქალიშვილებმა, იუდუმ, დამლა და თამარა შაჰინებმა დაარსეს. დების მთავარი მიზანი ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის თურქულ ხალხურ სიმღერებში გამოყენება და ქართული სიმღერის პოპულარიზებაა; გოგონები ასევე ქმნიან ახალ სიმღერებს. იუდუმ შაჰინი უკრავს გიტარაზე, ჩელოსა და ფანდურზე, დამლა - სალამურზე, ფლეიტასა და დუდუკზე, თამარი კი - ვიოლინოზე. ანსამბლ „სამიდის“ რეპერტუარს ძირითადად შეადგენს ქართული სიმღერები. გამოცემული აქვთ რამდენიმე ალბომი.

კონცერტზე შესრულდა ქართული და თურქული ტრადიციული სიმღერების ხალხური და საესტრადო ვარიანტები.

ბაიარ შაჰინს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ესტრადისა და სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში, მისი ძალზედ ორიგინალური საშემსრულებლო ხასიათის და სტილის გათვალისწინებით. რეპერტუარი მოიცავს ქართულ, აფხაზურ და ლაზურ სიმღერებს, რომლებსაც საგანგებოდ აგროვებს თურქეთის ქართულ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ტრადიციული ქართული ფოლკლორის მნიშვნელოვანი ელემენტები. ბაიარ შაჰინი დამსახურებულად ატარებს „კულტურის დესპანის“ ტიტულს.

გრიბოედოვის თეატრის სცენაზე სიყვარულის, მეგობრობის, ნიჭიერების ცეცხლი დაანთეს ბაიარმა და გოგონებმა, რისთვისაც მაყურებლის დიდი ოვაციები და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოსა და თურქეთში მოღვაწე პატივსაცემი ადამიანები, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მეცნიერები და ხელოვანები, „ჩვენებურები“, ქართული ხალხური სიმღერით დაინტერესებული ფართო საზოგადოება, მასწავლებლები, მუსიკოსები, მხატვრები, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, ბავშვთა და მოხუცებულთა სახლების ბენეფიციარები.

პროექტი „საქართველო დამაქვს გულით“ საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიას“ ეკუთვნის. ღონისძიების მხარდამჭერები გახლდათ ქალაქ თბილისის მერია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო.

ნინო ანდრონიკაშვილი
საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტი



ოჯახსა და სამეგობროზე შეყვარებული

ორმოცი ცრემლიანი, ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ზეციურ საქართველოში დაიდო ბინა სამშობლოზე, ოჯახსა და სამეგობროზე შეყვარებულმა ზურაბ სამხარაძემ. უპირველესად, მინდა, შევთხოვო უფალს, რომ ოჯახს და სამეგობროს შეგმატოთ მხნეობა და ძალა იმ დიდ ტკივილთან გასამკლავებლად, რომელიც უსაყვარლესი, კეთილსინდისიერი ადამიანის მარადიულ ყოფაში გადასახლებამ გარგუნათ.

ძველი თაობის ხარაგაულის ინტელიგენციის და განათლების სისტემაში შემორჩენილ უხუცეს პედაგოგებს აუცილებლად ემახსოვრებათ ზურაბის მამა ეპიფანე სამხარაძე, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში სოფელ ლაშის სკოლის დირექტორი იყო. მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა კალათბურთის სპეციალისტთან, უფროს გიორგი ავალიშვილთან. სწორედ მამის ხელმძღვანელობით გადადგა პირველი ნაბიჯები კალათბურთში ზურაბმა. სამწვრთნელო საქმიანობა 1969 წლიდან ცნობილი სპეციალისტის, შალვა დიასამიძის რეკომენდაციით დაიწყო.

ძველი სიბრძნე გვმოძღვრავს, ნიჭი და სიკეთე უფლის საჩუქარია, რომელიც სესხად ეძლევა ადამიანებს. სიცოცხლისთვის მოცემული დროის უმეტესი ნაწილი ამ ვალის დაბრუნებისთვის უნდა დახარჯო. ზურაბ სამხარაძემ მისხალ-მისხალ დააბრუნა ვალი და შეძლო ღირსეული საქმეების კეთება, მის კაცობას მარადიული სიცოცხლე რომ აჩუქეს. იგი ვალმოხდილი დაემშვიდობა სამშობლოს, რომლის კეთილდღეობისთვის ათწლეულები იღვაწა და მაგალითს აძლევდა მომავალ თაობებს.

დიდი ილია ბრძანებდა, კაცს ორი სიცოცხლე აქვს, ერთი თან წასაღები და მეორე — აქ დასატოვებელიო. ზურაბ სამხარაძემ ორივე სანიმუშოდ დაუტოვა ოჯახს და სამეგობროს, თავისი წილი წუთისოფელი ისე გალია, თავი არ შეურცხვენია.

ზურაბ სამხარაძემ ყოველმხრივ ღირსეულად იცხოვრა. რას ვიზამთ, ტკივილით სავსეა ჩვენი გულები, რასაც ვერანაირი დრო ვერ განკურნავს, ზენაარმა დაიცვას ზურაბის სულის სიმშვიდე.

იძინე უშფოთველად, სადაც მართალნი და ღირსეული ადამიანები განისვენებენ.

ზურაბ სამხარაძემ უკვდავებაში შეაბიჯა, მის სახელსა და ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ხარაგაულის საზოგადოების სახელით
ბეშან ჩხეიძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასაგალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99